# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ
sakresp.ge

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№89-90 (10092-10093) 2026 წლის 13 ივლისი, ორშაბათი




იხ. 7 გვ.

## ბინძურ პოლიტიკაში ცხვირის ჩაყოფამ ალეკო ელისაშვილი

## „რქიან ტერორისტად“ აქცია!

საქართველოს მწერალთა კავშირი



10

## დიდ ქართულ პოეზიას ტარიელ ჭანტურია მოუკვდა...

## სკანდალური აღიარება თუ ღალატის ფორმულა?!



იხ. 3 გვ.




11



იხ. 6 გვ.

## ჩერგოლიტარიზმი,

### ანუ სტატისტიკით თვითგამართლების ახალი პოლიტიკური ფილოსოფია

## უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია!..



იხ. 4 გვ.

# ევროკავშირი, როგორც პროექტი, რომელიც სუპერმდიდრებმა თავის დროზე მოიგონეს, დააფუძნეს, სულ უფრო ემსგავსება ტოტალიტარულ ერთობას, სამხედრო ბლოკს, რომელიც აწარმოებს ეგზისტენციალურ ომს



ირაკლი გოგავა:

...სწორედ ამ მიმართულებით არის დღევანდელი ევროკავშირი მიმართული, რაც შეეხება გამწვავებებს დრო და დრო საქართველოს მიმართ, ეს პირველ რიგში გამოწვეულია იმით, რომ მათ საოცრად არ სიამოვნებთ ის გადაწყვეტილება, რომელიც საქართველომ მიიღო. კონკრეტულად, მეორე ფრონტის გახსნის წინააღმდეგობა, რაც ჩვენმა ერმა გამოაჩინა, საზოგადოებამ, ხელმძღვანელობამ. ეს მათ გეოპოლიტიკურ სტრატეგიაში არ ჯდება. სწორედ ამიტომ, ახლა ბალტიისპირეთის რეგიონში გადადიან და იქაც ამწვავებენ ვითარებას.

პოლონეთმა უკვე გაიხსენა სტეპან ბანდერას და შუხევიჩის გვარები, გაამწვავა სპეციალურად ურთიერთობები უკრაინასთან, რომ ეგებ აირიდოს თავი ჩრდილოეთის ფრონტის გახსნისგან. ჩვენ გავიხსენებთ, რომ განსაკუთრებული აქტიურობით საქართველოს მიმართ სწორედ ბალტიისპირელი დეპუტატები, პოლიტიკოსები და პოლონელი პოლიტიკოსების ნაწილი გამოირჩეოდნენ. სწორედ ამიტომ ხდებოდა ზეწოლა საქართველოზე ამ პირების მიერ, რათა მათთვის ნათელი იყო, თუ საქართველოში არ გაიხსნებოდა მეორე ფრონტი, კოლექტიური ნატო, კოლექტიური ბრიუსელი მათ მიადგებოდა სწორედ ჩრდილოეთის ფრონტის გასახსნელად და ამ რეალობის წინაშე დადგნენ.





## სტიქიამ თელავი დაგვიზარალა

**კახეთში სახელმწიფო რწმუნებულის პლატონ კალმახელიძის ინფორმაციით, თელავში სტიქიით მიყენებული ზიანი მასშტაბურია, თუმცაღა, რაც მთავარია, მოსახლეობას საფრთხე არ ემუქრება. შესაბამისად, მოსახლეობის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს შეზღუდვით მიეწოდება ბუნებრივი აირი და ელექტროენერგია.**

ძირითადად დაზიანებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, რომლის პირველადი გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო. შეფასდება ადგილზე სტიქიის მიერ მიყენებული ზიანი სრულად და დაიწყება აღდგენითი სამუშაოები. შეკრებილი იყო საკოორდინაციო საბჭო. ყველა სამინისტრო, ყველა უწყება მობილიზებულია იმისთვის, რომ რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას სტიქიით მიყენებული ზიანი თელავის მუნიციპალიტეტში□ თელავში უხვი ნალექის შედეგად დაიტბორა საცხოვრებელი სახლებისა და შენობების პირველი სართულები, დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები, დაზიანებულია ავტომანქანები.



## კახეთში ძალადობის ბრალდებით სამი პირი დააკავეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისა და ძალადობის ბრალდებით სამი პირი დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ფიზიკურად იძალადეს არასრულწლოვანსა და მის ოჯახის წევრზე, ხოლო ერთ-ერთმა მათგანმა ცივი იარაღის გამოყენებით არასრულწლოვანს დაზიანება მიაყენა. შესაბამისი სამედიცინო დახმარების გაწევის მიზნით დაშავებული ახალგაზრდა კლინიკაში გადაიყვანეს. ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დანაშაულის ჩამდენი პირები პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა.

## გადასახადისთვის თავის არიდების ფაქტზე ძებნილი დააკავეს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გარდაბნის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდებისთვის ძებნილი პირი დააკავეს.**

დაკავებული რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე იძებნებოდა და მას დაუსწრებლად წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული.

სამართალდამცველებმა ძებნილი პირი ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად გარდაბნის მუნიციპალიტეტში დააკავეს. ამჟამად დაკავებული სასჯელაღსრულების დაწესებულებაშია გადაყვანილი.

## აფხაზეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოთხი კილოგრამი ნარკოტიკი ამოიღეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის ხელშეწყობის ბრალდებით ეგვიპტის რესპუბლიკის მოქალაქე თბილისში დააკავეს,** – ამის შესახებ ინფორმაციას შსს ავრცელებს.

□სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი და ზურგჩანთის ჩხრეკის შედეგად განსაკუთრებით დიდი ოდენობით □ოთხი კილოგრამი ნარკოტიკული საშუალება □მარიხუანა□ ნივთმტკიცებად ამოიღეს. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველების მიერ ასევე ამოღებულია ნარკოტიკული საშუალებების დაფასოებისთვის საჭირო მასალები.

## უკრაინელი „ნარკო-ლაბორანტი“ გამოიჭირეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საპოლიციო ღონისძიებების შედეგად, კუსტარული ნარკოლაბორატორია აღმოაჩინეს და ნარკოდანაშაულის ბრალდებით უკრაინის მოქალაქე დააკავეს.**




გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებული, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, დროებით საცხოვრებელ სახლში მოწყობილ ე.წ. ლაბორატორიაში, სხვადასხვა ქიმიური საშუალებისა და პრეკურსორების გამოყენებით, ნარკოტიკულ საშუალებებს ამზადებდა. საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კილონახევრამდე წონის ნარკოტიკული საშუალებები □მეფედრონი□და □ალფა პვპ□ ნივთმტკიცებად ამოიღეს.



## კაპრალი რაჟდენ ლეთოდიანი გარდაიცვალა

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თავდაცვის ძალების სამხედრო მოსამსახურის კაპრალ რაჟდენ ლეთოდიანის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს,** – განცხადებას ამის შესახებ თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

სამხედრო მოსამსახურის გარდაცვალებასთან დაკავშირებით 2026 წლის 11 ივლისს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტმა დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე □სატრანსპორტო მანქანის მართვის წესის დარღვევის ფაქტზე, რასაც სამხედროს გარდაცვალება მოჰყვა.

„შიგნით აქცია, გარეთ სანქცია“!

# ოპოზიციის ანტიეროვნული შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ გაშიფრულია!






# სკანდალური აღიარება თუ ღალატის ფორმულა?!

**რადიკალურ ოპოზიციას ნიღაბი საბოლოოდ ჩამოეხსნა! „კოალიცია ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა გვარამიამ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა პოსტი, რომელმაც საზოგადოება შეძრა და ნათლად აჩვენა, თუ რა მზაკვრულ გეგმას ამზადებენ ქვეყნის წინააღმდეგ გარე ძალებისგან მართული სუბიექტები. გვარამიამ ღიად და ყოველგვარი რიდისა თუ სინდისის ქენჯნის გარეშე ჩამოაყალიბა რადიკალების ანტისახელმწიფოებრივი სტრატეგია: „ოპოზიციის სტრატეგია გაცხადებულია: შიგნით აქცია, გარეთ სანქცია; ალტერნატივა“, — წერს გვარამია. მმართველი გუნდის თქმით, ეს განცხადება სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნის წინააღმდეგ გამოცხადებული ომი და საკუთარი სამშობლოს საბოტაჟი!**

## „ეს არის ქვეყნის ღალატი და დანაშაულებრივი მიდგომა!“

ამ ანტიეროვნულ და თავხედურ სლოგანს მყისიერად გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე,** რომელმაც გვარამიას ფორმულას პირდაპირ და უალტერნატივოდ „ქვეყნის ღალატი“ უწოდა. პრემიერის განცხადებით, ამგვარი ქმედებები უპასუხოდ ვერ დარჩება და სამართლებრივი რეაგირება გარდაუვალია:

**„საქმე არის აღძრული ზუსტად ამ მიდგომასთან დაკავშირებით, რაც არის მოღალატეობრივი მიდგომა, რაც არის, ფართო გაგებით, დანაშაულებრივი მიდგომა. ვნახოთ, რა კვალიფიკაციას მისცემენ ამას საგამოძიებო უწყებები, მაგრამ საკუთარი ქვეყნის ღალატი ზუსტად ეს არის: „შიგნით აქცია, გარეთ სანქცია“,** — ამბობს **კობახიძე.**

ირაკლი კობახიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ოპოზიციის ეს დესტრუქციული მიდგომა პირდაპირ ამყარებს იმ სარჩელს, რომელიც მმართველმა გუნდმა, „ქართულმა ოცნებამ“, ანტიდემოკრატიული ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანა.

## რას მალავს და რას აღიარებს გვარამია?

საკუთარ პოსტში **ნიკა გვარამია** ცდილობს, პროტესტისა და ე.წ. „ერთიანობის“ ილუზია შექმნას, თუმცა რეალურად საკუთარ მზაკვრულ ზრახვებს აღიარებს:

**„ერთიანობა და ალტერნატივა არის მთავარი მოთხოვნა საზოგადოების და პროტესტის უმნიშვნელოვანესი წინაპირობა — ეს 26 მაისის აქციამაც აჩვენა. ხალხს სჭირდება იმის დანახვა, რომ პროტესტი პოლიტიკურად შეიძლება გადაითარგმნოს და პოლიტიკურმა სპექტრმა რეალურად შეცვალოს. ამ რწმენის გარეშე, პროტესტიც სუსტდება — იმედგაცრუება აპასიურებს. ერთიანობა და ალტერნატივა უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია საერთაშორისო საზოგადოებისთვის რწმენის განმტკიცებისთვის, რომ ცვლილებები შესაძლებელია და სანქციებით უბრალოდ ვინმეს კი არ სჯიან, არამედ ქართველ ხალხს და დემოკრატიულ პოლიტიკურ სპექტრს უმარტივებენ ქვეყნის დასავლეთის გზაზე დაბრუნებას და დემოკრატიის აღდგენას“** — წერს **გვარამია.**

გვარამია უტიფრად მოუწოდებს თანამებრძოლებს, განზე გადადონ პირადი ამბიციები:

**„ყველა უნდა დაფიქრდეს იმაზე, რას აკეთებს, რა უნდა და რას აპირებს. ყველა უნდა დაფიქრდეს, რისთვის იბრძვის — პოლიტიკური თვითდამკვიდრებისთვის, ოპონენტების დასუსტებისთვის 2028 წლის არჩევნების წინ, ციხიდან გამოსასვლელად (ან იქ არ შესასვლელად), თუ იბრძვის ქვეყნისთვის და იბრძვის ბიძინას წინააღმდეგ. სიტყვების რახარუხი არაფერს არ ცვლის და ხშირად საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება, რადგან ძალიან ბევრ შემთხვევაში „ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს“** — განაცხადა მან.

## უნისონში მოქმედი აგენტურა

ხელისუფლების წარმომადგენლები და ანალიტიკოსები თანხმდებიან, რომ ოპოზიციას არავითარი ხალხის მხარდაჭერა და რესურსი არ გააჩნია, რის გამოც ქვეყანას გარედან უთხრიან ძირს. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ **ირაკლი ქადაგიშვილმა** რადიკალების სახე სრულად ამხილა:

**„ამ ე.წ. ოპოზიციაში რა ერთიანობაც არის, ყველამ კარგად ვნახეთ. სრული აღრევაა და ეს სრული აღრევა მოდის იქიდან, რომ თავის დროზე, ამ ადამიანების ჯგუფმა უარი თქვა დემოკრატიულ პროცესზე — არჩევნების შედეგად მიღებული ხმების საპარლამენტო ცხოვრებაში გამოყენებაზე. უარი განაცხადეს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე და დარჩნენ აქცია-სანქციის იმედად. თუ შევხედავთ, იგივე „ჭილსონების“ და გარე აქტორების ქმედებებს, არის ერთ უნისონში გამოყვანილი უბადრუკი პოლიტიკური ფორმულა იმიტომ, რომ მათ რასაც ჰქვია დემოკრატიული საქმე, დემოკრატიული ალტერნატივა, რასაც ჰქვია არჩევნები, ხალხის მხარდაჭერა არჩევებზე, უკეთესის შეთავაზება, ამისგან აბსოლუტურად ცარიელები არიან. არა თუ ინტელექტუალური, უკვე მორალური ძალაც არ გააჩნიათ. ამიტომ მთლიანად გადასული არიან დესტრუქციაზე. მათთვის განმსაზღვრელი არის სანქცია“** — განაცხადა მან.

ქადაგიშვილმა პირდაპირ მიუთითა, რომ ოპოზიციის მიზანი ქვეყნის ეკონომიკური დაქცევაა.

## „მეხუთე კოლონის“ განცხადება

ანალიტიკოსი **ედიშერ გვენეტაძე** ამბობს, რომ ნიკა გვარამიას მიერ გაჟღერებული პოლიტიკური ფორმულა არ არის უბრალო წინასაარჩევნო რიტორიკა, ან უწყინარი პოლიტიკური განცხადება. ანალიტიკოსი ამბობს, რომ ეს არის კლასიკური, სახელმძღვანელოსებრი გამოვლინება იმ ანტიეროვნული სენისა, რომელსაც პოლიტოლოგიაში „მეხუთე კოლონას“ უწოდებენ.

**„საქმე გვაქვს სრულიად გაშიფრულ, უცხოური დონორებისგან მართულ სუბიექტთან, რომლის ერთადერთ ფუნქციას საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული დესტრუქცია წარმოადგენს. როდესაც ადამიანი ასე საჯაროდ, ყოველგვარი პოლიტიკური რიდისა და მორალური ბარიერების გარეშე აცხადებს, რომ მისი სტრატეგია ქვეყნის შიგნით ქაოსის დათესვა, ხოლო გარედან სამშობლოს სანქციებით დახრჩობაა, ის ავტომატურად აწერს ხელს საკუთარ პოლიტიკურ და მორალურ კაპიტულაციას. ეს ადამიანები მოქმედებენ მარტივი, მაგრამ სახელმწიფოებრიობისთვის დამღუპველი სქემით იღებენ კონკრეტულ დავალებებს და ფინანსურ ტრანშებს გარე აქტორებისგან, რათა შემდგომ ეს რესურსი აქაურ, ე.წ. „აკაცუკებსა“ და რადიკალების ჯგუფებზე გადაანაწილონ. მათი მიზანია ხელოვნური კრიზისების შექმნა, ეკონომიკური სტაბილურობის რყევა და საზოგადოებრივი მღელვარება. გვარამიას ფეისბუქ-პოსტი სხვა არაფერია, თუ არა უცხოელი დამკვეთების წინაშე შესრულებული სამუშაოს ანგარიში, სადაც ის საკუთარ თავს წარმოაჩენს, როგორც ერთადერთ ძალას, რომელსაც საქართველოს ევროპული მომავლის სახელით ქვეყნის განადგურება შეუძლია“** — განაცხადა **გვენეტაძემ.**

აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსს მიაჩნია, რომ დემოკრატიულმა და სუვერენულმა სახელმწიფომ საკუთარი თავის დასაცავად მთელი სიმკაცრით უნდა აამუშაოს კანონის უზენაესობა.

მოამზადა **ლიკა ბერიკაშვილმა**

სხვა ქვეყნების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ნეოკოლონიალიზმის მსხვერპლად შეგვიძლია განვიხილოთ საქართველო, რომლის სუვერენიტეტი და მოქმედი ხელისუფლების უფლებამოსილება უცერემონიოდ არის შეზღუდული.

ისტორიულმა ბედისწერამ ისე მოიტანა, რომ ჩვენი მრავალჭირნახული სამშობლო, ე.წ. ოქროს ხანის გამოკლებით, ყოველთვის გავლენიან იმპერიებზე იყო დამოკიდებული, თუმცა, არა იმდენად ეკონომიკურად, რამდენადაც პოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან შრომისმოყვარე ქართველი კაცი სხვისი ხელის შემყურე ვერ იქნებოდა და „ჰუმანიტარული დახმარების“ მოლოდინში გრძელ რიგში ნებაყოფლობით, ცოცხალი თავით არ ჩადგებოდა!

**პოლიტიკური ლექსიკონის განმარტებით, ნეოკოლონიალიზმი არის კლასიკური კოლონიალიზმისნაირსახეობა, რომელიც მიზნად ისახავს მყიფე სახელმწიფოებრივი სტრუქტურების მქონე ქვეყნებზე გავლენის მოპოვებას, ფინანსურ-ეკონომიკური ბერკეტების გამოყენების მეშვეობით.**



**ანტირუსული პროპაგანდის ზემოქმედებით ტვინგაწყალებულ და საარქივო მასალების არმცოდნე რუსოფობებს, სავარაუდოდ, წარმოდგენა არ ექნებათ, მაგრამ შესაბამისი კვალიფიკაციის ექსპერტ-ანალიტიკოსებს, ცხადია, ეცოდინებათ, რომ ცარისტულ რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებამდე დიდი ხნით ადრე, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე თავგამოდებით ცდილობდა ევროპის გავლენიანი სახელმწიფოების პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციას, შესაძლო მფარველობის მოპოვების მიზნით.**

# უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია!..

**1713 წელს მეფის დავალებით გაემგზავრა ევროპაში სულხან-საბა ორბელიანი, დავით გერის თანხლებით, რაც კუნაპეტ ღამეში ხელის ცეცებით გადაადგილების ტოლფასი ნაბიჯი იყო, იმდროინდელ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. რომის პაპთან აუდიენციისა და საქართველოში კათოლიციზმის შესაძლო გავრცელების საკითხებზე მოლაპარაკების შემდეგ, ქართველ დიპლომატს ორჯერ ჰქონდა შეხვედრა საფრანგეთის მეფე ლუი მეთოთხმეტესთან, რომელიც გრანდიოზული პროექტების განხორციელების იდეით შთაგონებული, პატივმოყვარე მონარქი იყო.**

ნაკლებად სავარაუდოა, საქართველოს სამეფო კარის წარმომადგენელს ისე უდიერად მოპყრობოდნენ ვერსალის სასახლეში, როგორც მუხრან მაჭავარიანს აქვს აღწერილი ცნობილ ლექსში (ლუდოვიკო მეთოთხმეტის კართან დიდხანს ალოდინეს და მეთხუთმეტე კაცად შეუშვესო, რაც შეიტანა, ისევ ის გამოიტანაო და სხვა), მაგრამ ამ გაჭიანურებულ მოლაპარაკებებს სასურველი შედეგი რომ არ მოჰყოლია, ამის თქმა დადასტურებულად შეგვიძლია.

ახლა ჩვენ მხოლოდ მარჩიელობა შეგვიძლია იმის თაობაზე, მიიღო თუ არა რაიმე სახის დაპირება ქართველმა მისიონერმა, თუნდაც თბილისში საფრანგეთის საკონსულოს გახსნასთან დაკავშირებით, რადგან 1715 წლის 1 სექტემბერს ლუი მეთოთხმეტე მოულოდნელად გარდაიცვალა და ვითარება არსებითად შეიცვალა.

**დასავლეთ ევროპის საარქივო საცავებში აღმოჩენილი წერილობითი წყაროების მიხედვით, ერეკლე მეორეს ეპისტოლარული კომუნიკაცია ჰქონია არა მხოლოდ საფრანგეთთან, არამედ ინგლისის, პრუსიის, ავსტრიის და კორსიკის პოლიტიკურ წრეებთან, თუმცა, ჩვენდა სავალალოდ, თავი არავის შეუწუხებია სპარსეთ-ოსმალეთის ურდოებისგან აწიოკებული საქართველოს და მისი სვეგამწარებული მონარქის დასაცავად!**

**ცნობისათვის:** საფრანგეთის სამეფო კარი და ლუი მეთოთხმეტის უახლოესი გარემოცვა იმიტომაც ითრევდა ფეხს, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები ჰქონდა ირანთან და არაფრით დაუშვებდა ურთიერთობის გაფუჭებას ხელსაყრელ პარტნიორთან. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ამას პრაგმატული მოსაზრებით თუ გულგრილობით მოუძებნის ვინმე ახსნას, ფაქტი ფაქტად რჩება – იმ შორეულ ეპოქაშიც ისეთივე ცინიზმით ვაჭრობდნენ პატარა სახელწიფოების ბედით, როგორც დღეს ვაჭრობენ ევროპელი ბიუროკრატია და ამერიკის შეერთებული შტატები.

ისტორია ობიექტური მეცნიერებააო, ნათქვამია. თუ გვინდა 1783 წლის 24 ივლისის ხელშეკრულება ანუ გეორგიევსკის ტრაქტატი ობიექტურად შევაფასოთ, ის სავალალო მდგომარეობა უნდა გავითვალისწინოთ, რომელშიც იმყოფებოდა იმჟამინდელი საქართველო და ქართლ-კახეთის მირონცხებული მეფე ერეკლე მეორე, როცა ქართველი ერის ყოფნა-არყოფნა ბეწვზე იყო ჩამოკიდებული.

გონებრივი გამჭრიახობის მიუხედავად, ერეკლე მეორე არ ყოფილა გულთმისანი, ამიტომ ვერაფრით წარმოიდგენდა ისეთ მზაკვრობას თუ ჩაიდენდა რუსეთის იმპერატორი!

**მართალია, ქაღალდი ყველაფერს იტანს, მაგრამ არსებობს ზნეობრივი კატეგორიები და ეთიკური ნორმები, რომლებსაც უნდა იცავდნენ სახელმწიფოს პოლიტიკური თანამდებობის პირები. გულწრფელად გავიხარებდი, თუ ამ პრინციპით იხელმძღვანელებდნენ ევრობიუროკრატიის ის ავყია წარმომადგენლები, რომლებსაც 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველო დაბალ დონეზე მიაჩნიათ, ხოლო შრომისმოყვარე ქართველი ერი სხვის მოწყალების იმედზე მყოფ უსაქმურებად!**

რუსეთის იმპერიაში მიღებული განათლებისა და სახელმწიფო სათათბიროში მოღვაწეობის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ინარჩუნებდა კეთილგანწყობას გეოგრაფიული დასავლეთის მიმართ. ევროპა გაცილებით წინ წასულია, უფრო მდიდარია, უფრო ბედნიერია, უფრო ბევრის სიკეთისა და მადლის მპყრობელია, უფრო ძალოვანი და ღონიერიაო, წერდა იგი.

**თუ კადნიერებაში არ ჩამეთვლება, დავამატებდი, რომ ყველა თაობისათვის საოცნებო ევროპა, რომლის სინდისზეა არა მარტო ჯვაროსნული ომი, არამედ ორი მსოფლიო ომიც, პოლიტიკური თავხედობითაც არის გამორჩეული თანამედროვე მსოფლიოში.**

ილია შარაგზის ყაჩაღებს რომ არ მოეკლათ წიწამურის ტყეში და იმ შემთხვევის მომსწრე გამხდარიყო, როცა საქართველო არ მიიღეს ერთა ლიგაში, უთუოდ იმედგაცრუებული დარჩებოდა ასეთი ცინიკური გულგრილობით. სწორედ ასეთმა აგდებულმა დამოკიდებულებამ განაპირობა საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის შემოჭრა საქართველოში 1921 წლის თებერვალში და 70-წლიანი ოკუპაცია, მისგან გამომდინარე ყველა უარყოფითი შედეგით.

კოლექტიური დასავლეთის მხრიდან გულგრილობის უპრეცედენტო გამოხატულების მომსწრენი გავხდით გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, ეროვნული ხელისუფლებისათვის ბოიკოტის გამოცხადებამ სამოქალაქო ომის პროვოცირება რომ გამოიწვია საქართველოში.

**ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ დისიდენტური ფლანგიდან ხელისუფლებაში მოსულ ზვიად გამსახურდიას ისეთივე დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა დასავლური ღირებულების მიმართ, როგორც 100 წლით ადრე ილია ჭავჭავაძეს: „დასავლეთის კულტურა, – ამბობდა იგი, – ცივილიზაცია, ხელოვნე-**

**გა, პოლიტიკური ნააზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის. ჩვენი თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება დასავლური, ღია დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია და არა სხვა რამ“**

საბჭოთა კავშირში ცხოვრებაგამოვლილ მოქალაქეებს იმჟამინდელი ევროპა ბიბლიურ სამოთხედ და დემოკრატიის ოაზისად რომ წარმოგვედგინა, ამაში გასაკვირი არაფერი იქნებოდა, მაგრამ ახლა, როცა მირაჟი გაიფანტა, მთელი სიცხადით წარმოჩინდა ულმობელი რეალობა, რომელსაც ნეოკოლონიალიზმის ელფერი დაჰკრავს!

შესაძლოა, შემთხვევითობა იყო, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ 1999 წლის 27 იანვარს, დაბადების თარიღიდან ორი დღის შემდეგ, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს სიურპრიზი გაუკეთეს და საქართველო ევროსაბჭოში მიიღეს, რამდენიმე კვირაში კი იმავე ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის ტრიბუნიდან ზურაბ ჟვანიამ წარმოთქვა ისტორიული ფრაზა: **„მე ვარ ქართველი და მაშასადამე ვარ ევროპელი!“** დაკვირვებული მკითხველი დიდი ხნის წინათ მიხვდებოდა, რომ ამ მოკლე წინადადებაში საკვანძო სიტყვაა „მაშასადამე“, რომელმაც საჭილდაო ქვის ფუნქცია შეიძინა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობაში და დღესაც დიდი კითხვის ქვეშაა მოქცეული!

ეს წარმოსახვითი კითხვის ნიშანი კიდევ უფრო თვალშისაცემი გახდა მას შემდეგ, რაც ორიოდე კვირის წინათ, ევროსაბჭომ ხმათა აბსო-

**გის მარკეტა გრეგოროვა. სიმართლე გითხრათ, ვერ დავადგინე, აღმოსავლეთ გერმანიის მოქალაქე იყო თუ დასავლეთ გერმანიის, მაგრამ ამ ჩამონათვალში საპატიო ადგილი უკავია ურსულა ფონ დერ ლაიენს, რომელიც პროფესიით გინეკოლოგია, თუმცა გლობალური პოლიტიკით არის გატაცებული.**

რაც უფრო ლამაზია ქალი, მით უფრო ფრთხილად უნდა იყოს კაციო, ამბობს ალექსანდრე დიუმას „სამი მუშკეტერის“ ერთ-ერთი პერსონაჟი. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული პერსონაჟები პიროვნული მომხიბვლელობით არ გამოირჩევიან, ხელისუფლებას მაინც ვურჩევდი, სიფრთხილე გამოიჩინოს, რადგან კაცმა არ იცის, რას მოიმოქმედებენ სასოწარკვეთილების ზღვარზე მყოფი თანამედროვე ამორძალები!

ასეთ ტურბულენტურ ვითარებაში, საქართველოსთვის უდიდესი შვება იქნებოდა სახელმწიფოებრივი ნეიტრალიტეტი და მისასალმებელია, რომ ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობენ ჩემთვის პატივსაცემი ადამიანები პოლიტიკური პარტიის ფორმატში, მაგრამ ასეთი ფუფუნების შესაძლებლობას ჩვენ არავინ მოგვცემს. უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშიაო, ნათქვამია. მიუტევებელი გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ ევროსტრუქტურებში საქართველოს შესაძლო გაწევრება ქართველი ერის საუკეთესო ინტერესებით იყოს ნაკარნახევი და ევრობიუროკრატიას ჩვენზე ზრუნვით ძილი ჰქონდეს გატეხილი. „მაშასადამე ევროპელები“ თუ დაინტერესდებიან,

# „თვალი დაუდგეს ევროპას“!



ლუტური უმრავლესობით მიიღო უბინძურესი შინაარსის რეზოლუცია საქართველოსთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ რეზოლუციებს სარეკომენდაციო ხასიათი აქვს და მათი აღსრულების ვალდებულება საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია, სხვა სახის უხერხულობებიც იჩენს ხოლმე თავს. დაახლოებით ისეთ გროტესკულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, როგორიც რეზო ჭეიშვილის „ცისფერ მთებშია“ აღწერილი. გამომცემლობის დირექტორის კითხვაზე, რამდენი სხდომა გვაქვს ამ თვეში ჩასატარებელიო, ვასო ჩერგოლეიშვილი მყისიერად პასუხობს: გეგმით თვრამეტი, გეგმავალდებულებით კი – ოცდაერთიო!

როგორც ჩანს, იქაურ უსაქმურებს გეგმავალდებულებები აქვთ აღებული ევრობიუროკრატიის წინაშე და ამიტომაც უშვებენ ამდენ რეზოლუციებს კონვეიერული მეთოდით.

**ხელისუფლების მტკიცე პოციზიას, მონური მორჩილებით არ შეასრულონ ღირსების დამამცირებელი დირექტივები, შევადარებდი დავით აღმაშენებლის გაბედულებას, რომელმაც ხარკის მიცემა შეუწყვიტა ოსმალეთის მრისხანე სულთანს, რაც არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური, არამედ მორალური მნიშვნელობის აქტი იყო!**

* * *

**ვერ გეტყვით, რატომ აირჩია ევროკავშირმა ასეთი სტრატეგია, მაგრამ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებასთან ბრძოლის ავანგარდში სუსტი სქესის წარმომადგენლები ჰყავთ დაყენებული, უპირატესად, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლები: ესტონელი რასისტი რასა იუკნევიჩიენე, მისი თანამემამულე კაია კალასი, სლოვენიელი მარტა კოსი, პოლონელი მალგორჟატა გოშიევსკა და გაურკვეველი წარმომავლო-**

მარტივად შეუძლიათ დაადგინონ, რატომ სთხოვდნენ განსაკუთრებული დაჟინებით საქართველოს ხელისუფლებას, უკრაინისთვის სასწრაფო წესით გადაეცათ „ბუკები“ და „ჯაველინები“. რუსეთ-უკრაინის ომი, ჩვენი ომი არაა, ამიტომ იმ პოლიტიკურმა აქტორებმა უნდა აიღონს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა, რომელთა წაქეზებით იქნა ეს ძმათამკვლელი ომი პროვოცირებული.

**ისტორიულმა მეხსიერებამ შემოინახა შუასაუკუნეების ევროპელი მემატიანის ჩანაწერი, რომლის მიხედვით, გავლენიანმა მონარქმა ჰენრიხ მეოთხემ ისე კარგად აითვისა კითხვის ხელოვნება, არა მარტო დამოუკიდებლად კითხულობდა შემოსულ კორესპონდენციებს, მათი გაანალიზების უნარსაც ამჟღავნებდა თურმე. აღარაფერს ვამბობ მის თანამედროვე კარლოს დიდის შესახებ, რომელმაც ასოთა მოყვანილობა ვერ ისწავლა და გატისფეხურით დაამახსოვრა თავი გარემოცვას.**

**შეგახსენებთ, იმ ეპოქაზეა საუბარი, როცა სულკურთხეული დავით აღმაშენებელი წიგნებით სავსე ხურჯინებით მიდიოდა მტერთან საბრძოლველად და „ბალოგანი სინანულისანი“ ჰქონდა დაწერილი. ცნობილ კინოპერსონაჟ ხუტა ოდიშელიძის თქმისა არ იყოს, თვალი დაუდგეს ევროპას, 3000-წლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე ქართველებს არაფერი გვჭირს სხვისი ჭკუის სასწავლებელი...**



**თეიმურაზ ჯანელიძე,**
**წყალტუბო-ჩუნეში.**









# მაგთიკომმა თბილისის მეტროს ყველა ბაქანზე 5G ქსელი გაუშვა

**მაგთიკომმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა მობილური ქსელის განვითარების მიმართულებით, რომლის შედეგად, თბილისში პირველად, მეტროს ყველა ბაქანზე 5G ხელმისაწვდომია.**

**მეტროს მგზავრებს უკვე ყველა ბაქანზე შეუძლიათ მიიღონ მაღალი ხარისხის კავშირი და ისარგებლონ მეხუთე თაობის მობილური ინტერნეტით, საშუალოდ 2 გიგაბიტ წამამდე სიჩქარით.**

**მეტროს ყველა ბაქანზე 5G-ის ხელმისაწვდომობა მაგთიკომის უწყვეტი ინვესტირების შედეგია, რომელსაც მუდმივად ახორციელებს თანამედროვე სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გასავითარებლად.**

**მაგთიკომი მომავალშიც გააგრძელებს უახლესი ტექნოლოგიების დანერგვას და ქსელის განვითარებას.**



# საქართველოში დედის რძის პირველი ბანკი გაიხსნა

**იაშვილის სახელობის ბათუმის დედათა და ბავშვთა ცენტრალურ ჰოსპიტალში ოფიციალურად გაიხსნა და ფუნქციონირება დაიწყო დედის რძის პირველმა ბანკმა საქართველოში,** – ინფორმაციას ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

გახსნის ცერემონიაში მონაწილეობდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი **მიხეილ სარჯველაძე.**

მინისტრის განცხადებით, დედის რძის ბანკის გახსნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია საქართველოში დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე ახალშობილების ზრდა-განვითარების მხარდაჭერის კუთხით.

**„დედის რძის ბანკის გახსნის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ნინო წილოსანი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა ლომინაძე, ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარე მარიამ ლაშხი და სხვ.**

**პროგრამით ისარგებლებენ მაღალი რისკის ახალშობილები, რომელთა შერჩევა განხორციელდება განსაზღვრული სამედიცინო რისკფაქტორების მიხედვით. ქალის დონორული რძის გაცემა მოხდება ნეონატალური სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მოთხოვნის საფუძველზე, ვაუჩერული სისტემის გამოყენებით“** – ნათქვამია ჯანდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## ვინ — ვის?!



**ამასწინათ ვუყურე თამარ ჩერგოლეიშვილისა და ზურა მახარაძის „დებატებს“. ყველაზე მეტად ჩემი ყურადღება მიიქცია არა უშუალოდ პოლიტიკურმა პოლემიკამ, არამედ ერთმა ფილოსოფიურმა ნარატივმა, რომელიც ამ დებატში განსაკუთრებით მკაფიოდ გამოჩნდა.**

**ჩერგოლეიშვილი ამტკიცებდა, რომ აფხაზეთის ომში საქართველომ, დაახლოებით, ათი ათასამდე ადამიანი დაკარგა, ხოლო 2008 წლის აგვისტოს ომში — დაახლოებით, ოთხასი. მისი აზრით, ეს განსხვავება თითქოს მიუთითებს იმაზე, რომ მაშინდელმა ხელისუფლებამ, დასავლეთის, განსაკუთრებით კი ამერიკის მხარდაჭერით, გაცილებით მძიმე შედეგი თავიდან აიცილა. ამ არგუმენტის მოსმენისას გამახსენდა ერთი გამორჩეული სერიალი — reaking Bad და მისი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სცენა.**

# ჩერგოლიტარიზმი,

## ანუ სტატისტიკით თვითგამართლების ახალი პოლიტიკური ფილოსოფია

**ავიაკატასტროფის შემდეგ, სკოლაში შეკრებილ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს უოლტერ უაითი სიტყვით მიმართავს. ის არ ლაპარაკობს ტრაგედიის მიზეზებზე. არ ლაპარაკობს პასუხისმგებლობაზე. არ ამბობს, რომ შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად განვითარებულიყო. პირიქით, იწყებს სტატისტიკის მოყვანას: უარესი ავიაკატასტროფებიც ყოფილა; ეს მხოლოდ ისტორიის ერთ-ერთი მძიმე, მაგრამ არა ყველაზე მძიმე კატასტროფაა; მიწაზე არავინ დაღუპულა; ხალხი ყველაფერს ივიწყებს; ადამიანები ამასაც გადალახავენ.**

გარეგნულად უოლტერი მშვიდ და რაციონალურ ადამიანად ჩანს. საუბრობს აუღელვებლად, მოჰყავს ისტორიული მაგალითები, ადარებს მსხვერპლის რაოდენობას და ცდილობს, ტრაგედია ფართო კონტექსტში მოაქციოს. თუმცა, მაყურებელმა იცის ის, რაც დარბაზში მყოფებმა არ იციან: ამ სიტყვებს წარმოთქვამს ადამიანი, რომლის ერთმა მორალურმა არჩევანმა ტრაგედიის მიზეზობრივი ჯაჭვი აამოქმედა. უოლტერს შეეძლო ერთი გოგონას გადარჩენა, მაგრამ ეს არ გააკეთა. შემდეგ გარდაცვლილი გოგონას მამა, ავიადისპეტჩერი, ფსიქოლოგიურად განადგურებული დაუბრუნდა სამსახურს და დაუშვა საბედისწერო შეცდომა, რომელმაც ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. სწორედ ამიტომ, ეს მონოლოგი შემზარავია.

უოლტერ უაითი ამ სცენაში, სინამდვილეში, არც სტოიკოსია და არც უტილიტარისტი, ამ ცნებების ნამდვილი ფილოსოფიური გაგებით. ის მხოლოდ ისესხებს მათ ენას. სტოიკურ სიმშვიდეს იყენებს საკუთარი სინდისის დასამშვიდებლად, ხოლო უტილიტარულ შედარებებს იმისთვის, რომ მსჯელობა მიზეზებიდან შედეგების სტატისტიკაზე გადაიტანოს.



**მთავარი კითხვა — „რა იყო ჩემი პასუხისმგებლობა?“ — ქრება. მის ადგილს იკავებს სხვა კითხვა: „ხომ შეიძლებოდა უარესიც მომხდარიყო?“ სწორედ აქ იხსნება უოლტერ უაითის მონოლოგის ნამდვილი არსი. ის აღარ უყურებს ადამიანს, როგორც უნიკალურ პიროვნებას. სიცოცხლე მისთვის რიცხვებად, პროცენტებად და ისტორიულ სტატისტიკად გარდაიქმნება. როდესაც ადამიანის ბედი მხოლოდ შედარებითი მაჩვენებელი ხდება „უარესიც ყოფილა“, „უფრო მეტი დაღუპულა“, სინდისი თანდათან ადგილს უთმობს ციფრებს. აქ იბადება შინაგანი მონსტრი.**

*   *   *

ნამდვილი მონსტრი ყოველთვის ის არ არის, ვინც ყვირის, ვისაც სძულს ან ღიად ძალადობს. გაცილებით საშიშია ადამიანი, რომელსაც შეუძლია საკუთარი პასუხისმგებლობა ციფრებს მიღმა დამალოს და სხვისი სიკვდილი სტატისტიკურ არგუმენტად აქციოს. სწორედ ამ დროს კვდება თანაგრძნობა. როდესაც კონკრეტული ადამიანის სახე ქრება და მის ადგილს მხოლოდ რაოდენობა იკავებს, მორალიც ნელ-ნელა ინგრევა.

სტატისტიკა აუცილებელია მეცნიერებისთვის, ეკონომიკისთვის და სახელმწიფოს მართვისთვის, მაგრამ არსებობს ზღვარი, რომლის მიღმაც იგი ეთიკურ საფრთხედ იქცევა. ეს ზღვარი გადაკვეთილია მაშინ, როდესაც სტატისტიკა რეალობის გასაგებად კი აღარ გამოიყენება, არამედ პასუხისმგებლობის ჩასანაცვლებლად.

**უოლტერ უაითის ტრაგედიაც სწორედ ეს არის. მისი დეჰუმანიზაცია იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ციფრებს იყენებს, არამედ იმაში, რომ ციფრებით ცდილობს საკუთარი სინდისის გაჩუმებას. იმ მომენტში, როდესაც სხვისი სიცოცხლე მხოლოდ სტატისტიკურ შედარებად იქცევა, ადამიანი საკუთარ ადამიანურობასაც კარგავს.**

ზუსტად ამ რიტორიკულ სტრუქტურას ვხედავ მაშინაც, როდესაც პოლიტიკური პასუხისმგებლობის განხილვა მსხვერპლის რაოდენობის შედარებით იცვლება. როდესაც მთავარი არგუმენტი ხდება ის, რომ „400 დაიღუპა და არა – 10 000“, საზოგადოებრივი დისკუსია შეუმჩნევლად ტოვებს ყველაზე მნიშვნელოვან კითხვებს: შეიძლებოდა თუ არა ომის თავიდან აცილება? იყო თუ არა მიღებული სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებები? არსებობდა თუ არა სტრატეგიული შეცდომები? ვინ აგებს მათზე პასუხს?

მსხვერპლის სტატისტიკა თავისთავად ვერ პასუხობს ამ კითხვებს. პირიქით, ზოგჯერ სწორედ სტატისტიკა იქცევა პასუხისმგებლობის განზავების ყველაზე ეფექტიან პოლიტიკურ ინსტრუმენტად. აქ არ არის მთავარი, კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას ვეთანხმებით თუ არა. პრობლემა იწყება მაშინ, როდესაც ერთი და იგივე მოვლენა, სხვადასხვა ხელისუფლების შემთხვევაში, სრულიად განსხვავებული მორალური საზომით ფასდება.

**ეს ქალბატონი ან მისი მეუღლე შევარდნაძის ხელისუფლების წარმომადგენლები რომ ყოფილიყვნენ, ალბათ, ქართული ჯარის ცამეტთვიანი წინააღმდეგობით მოიწონებდნენ თავს, მაგრამ ამ შემთხვევაში, შედარების სხვა ლოგიკა ირთვება: ოთხას დაღუპულს არა ტრაგედიად, არამედ საკუთარი გუნდის პოლიტიკურ აქტივად აქცევენ. ამას ორმაგი სტანდარტიც აღარ ჰქვია. ეს უფრო კარგად მოფიქრებული ახალი პოლიტიკური ფანდია — როცა მსხვერპლის რაოდენობა არა გლოვის, პასუხისმგებლობისა და ანალიზის საფუძველი ხდება, არამედ საკუთარი პოლიტიკური ბიოგრაფიის გასათეთრებელი არგუმენტი.**

ამიტომაც არის განსაკუთრებით სიმპტომური, როდესაც დებატის მონაწილე, რომლის მეუღლეც იმ წლებში ქართული პოლიტიკის უშუალო მმართველობაში იყო, დღეს ამ სტატისტიკით იწონებს თავს. მაშინ მას (შეიძლება) მხოლოდ მეუღლის სტატუსი ჰქონდა, მაგრამ დღეს იგი მეუღლესთან ერთად პარტიის ლიდერია და ღიად გვეუბნება, რომ 2008 წელი დღევანდელობას სჯობდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ხელისუფლებაში თუ მოახერხეს დაბრუნება 2028-ში, იგივე სიტუაციას დააბრუნებენ. რიცხვი რვაც კარგად აქვთ დაცდილი...

*   *   *

**ამ თვალსაზრისით, მახარაძე მართალია, როდესაც ამბობს, რომ ასეთი ოპოზიცია რომ არ არსებობდეს, უნდა გამოიგონო. კარგი ფულიც კი უნდა დახარჯო, რომ ასეთი საფრთხობელა არსებობდეს — პოლიტიკური ძალა, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნისას საკუთარ მოსახლეობაზე ძალადობს, ხოლო ძალაუფლების გარეშე დარჩენილი, ხოჭოთი ცდილობს ოპონენტის შეშინებას.**

რომ შევაჯამოთ, პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ იზომება მხოლოდ იმით, რამდენად მძიმე შედეგი დადგა. ის იწყება უფრო რთული და უსიამოვნო კითხვებით: შეიძლებოდა თუ არა ამ შედეგის თავიდან აცილება, რა გადაწყვეტილებებმა მიგვიყვანა იქამდე და ვინ უნდა აგოს პასუხი ამ გადაწყვეტილებებზე.

სწორედ აქ გადის ზღვარი ნამდვილ სტოიციზმსა და პასუხისმგებლობისგან გაქცევას შორის. სტოიციზმი გვასწავლის ღირსეულად შევხვდეთ იმას, რასაც ვეღარ შევცვლით, მაგრამ ის არ გვასწავლის, რომ შეცდომები ციფრებით გავამართლოთ ან ტრაგედია სტატისტიკურ შედარებად ვაქციოთ.

**სახელმწიფოსთვის არც ოთხასი დაკარგული სიცოცხლეა „მცირე ფასი“ და არც ათი ათასი — მხოლოდ დიდი რიცხვი. ორივე შემთხვევაში საუბარია ადამიანებზე, ოჯახებზე, ისტორიებზე და იმ ვალდებულებაზე, რომელიც ხელისუფლებას აქვს საკუთარი მოქალაქეების წინაშე — არ ეძებოს გამართლება შედეგებში, როცა პასუხი მიზეზებშია საძებნი.**



**ლევან მეტონიძე,**
სოციოლოგი

# საკუთარი თავის დამღუპველი




**ოპოზიციური კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ (ერთ-ერთი დამფუძნებელი პლატფორმა „ლელო“) ერთ-ერთი ლიდერი ალეკო ელისაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო და 13-წლიანი პატიმრობა შეუფარდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება კანცელარიის შენობაში მომხდარ ინციდენტს, სადაც მანდატურის სამსახურის თანამშრომლებმა ალეკო ელისაშვილის ქმედება აღკვეთეს, რის შემდეგაც ის ადგილზე სამართალდამცავებმა დააკავეს. გამოძიება ამ ფაქტს ტერორისტული აქტის მცდელობად აფასებს. საქმეემ მყისიერად დაიკავა პოლიტიკური პოლარიზაციის ეპიცენტრი — მმართველი გუნდისთვის ეს მართლმსაჯულების აღსრულებაა, ოპოზიციისთვის კი — პოლიტიკური ანგარიშსწორება.**

**ალეკო ელისაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ორი მუხლით ჰქონდა წარდგენილი. პირველი ეს არის სსკ-ის 19-323-ე მუხლის პირველი ნაწილი, რაც ტერორისტული აქტის ჩადენის მცდელობას გულისხმობს და სასჯელის სახედ 10-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მეორე ეპიზოდი კი ეხება სსკ-ის 323-ე მუხლის პირველ ნაწილს, რაც თავად ტერორისტულ აქტს — ესე იგი, აფეთქებას, ცეცხლის წაკიდებას, ადამიანზე თავდასხმას, იარაღის გამოყენებას ან სხვა ქმედებას გულისხმობს, ჩადენილს ტერორისტული მიზნით, რომელიც ქმნის სიცოცხლის მოსპობის ან მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის საშიშროებას. საბოლოოდ, სასამართლომ მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

# პოლიტიკაში ცხვირის ჩაყოფამ კარგი ჟურნალისტი და სახალხო დამცველი ალეკო ელისაშვილი „რქიან ტერორისტად“ აქცია!

## დანაშაულის აღიარება და არა მონანიება!

სასამართლო პროცესზე **ალეკო ელისაშვილმა** ჩადენილი ქმედება აღიარა, თუმცა მისი მოტივაცია რადიკალურ პროტესტს დაუკავშირა და აღნიშნა:

**„მახრჩობდა ის პროტესტი, რაც მქონდა და როგორც შემეძლო, ისე ვიმოქმედე. ეგრე გადავწყვიტე საჭიროდ, რომ მემოქმედა. არ გამომივიდა“** — განაცხადა მან.

სასამართლო გადაწყვეტილებას მწვავედ აფასებს ელისაშვილის ინტერესების დამცველი. **გიორგი რეხვიაშვილის** თქმით, მოსამართლემ მკაცრი სასჯელი სწორედ მონანიების არარსებობის გამო გამოიტანა და უგულებელყო რეალური მტკიცებულებები:

**„როგორც მოსალოდნელი იყო, ალეკო ელისაშვილი დამნაშავედ ცნეს. 13 წელი მიუსაჯეს. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია. მოსამართლემ დაცვის მხარის მტკიცებულებები არ გაითვალისწინა, რაც პირდაპირ მიუთითებდა, რომ აღნიშნული ხანძრის გაჩენა 25 მილიონის ზიანს ვერ გამოიწვევდა.**

**უშუალოდ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს დასკვნაზე ვსაუბრობ, რასაც პროკურატურამ თავი აარიდა და არ მიმართა, რადგან აღნიშნული წარმოადგენდა ჰიპოთეზურ საკითხს, ეჭვსა და ვარაუდს.**



**ზოგადად, კანონმდებლობით, ყველა ეჭვი, თუ ის საქმეში არსებობს, ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. სამწუხაროდ, სასამართლომ ყველაზე მძიმე კვალიფიკაცია გამოიყენა. მუხლი 10-დან 15-წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა და 13 წელი მიუსაჯა. მოსამართლემ სარეზოლუციო ნაწილში თქვა, რომ რაკი ელისაშვილი ჩადენილ ქმედებას არ ინანიებდა, 13-წლიანი პატიმრობა ამიტომ განუსაზღვრა“** — განაცხადა **რეხვიაშვილმა.**

## რას ამბობს პროკურორი?!

სრულიად საპირისპიროს აცხადებს საქმის პროკურორი, რომლის განმარტებითაც ბრალდებულის დანაშაულებრივი და ტერორისტული განზრახვა საქმეში არსებული მტკიცებულებებით აბსოლუტურად დადასტურებულია:



**„მტკიცებულებათა გამოკვლევით დავადასტურეთ ის, რომ ალექსანდრე ელისაშვილს ჰქონდა ტერორისტული აქტის მცდელობა. სასამართლომ გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც იყო უტყუარი და თანმიმდევრული, ისაუბრა უშუალოდ საქმეში არსებულ ვიდეოჩანაწერზე, რომელშიც ნათლად იყო აღწერილი ბრალდებულის ყველა მოქმედება, ასევე, ისაუბრა ფაქტის თვითმხილველი მოწმეების ჩვენებებზე, რომლებიც ასევე თანმიმდევრული იყო და სრულად აღადგენდა ალექსანდრე ელისაშვილის მიერ ჩადენილი ქმედების თითოეულ სურათს.**

**სასამართლომ ასევე შეაფასა ის, რომ ბრალდებულის ქმედება ცალსახად იყო ტერორისტული აქტის მცდელობა და მას გააჩნდა ტერორისტული მიზანი და ამ შემთხვევაში ეს იყო სწორედ სასამართლო ხელისუფლების დესტაბილიზაცია, რაც ნათლად და მკაფიოდ იყო გამოკვეთილი“** — განაცხადა პროკურორმა **ანი ხუზეჯაშვილმა.**

## პოლიტიკური შეფასებები

განაჩენს მყისიერი პოლიტიკური რეაქცია მოჰყვა, როგორც ოპოზიციის, ისე მმართველი გუნდის მხრიდან. ოპოზიციურ ფლანგზე მიიჩნევენ, რომ პროცესი მთლიანად პოლიტიზებული იყო და ხელისუფლებამ სასამართლო საკუთარი ოპონენტების დასასჯელად გამოიყენა:



**„ძლიერი საქართველო — ლელოს“ წევრი თაზო დათუნაშვილი ამბობს რომ „ეს არის „ქართული ოცნების“ ერთი პოლიტიკური ძალის ანგარიშსწორება მის პოლიტიკურ ოპონენტებზე ზუსტად ისე, როგორც ეს არის ე.წ. საბოტაჟის საქმე, პარტიების აკრძალვის საკითხი და ა.შ. ეს არის საქართველოში დემოკრატიის დასამარება“** — განაცხადა მან.

კოლეგის პოზიციას იზიარებს **სალომე სამადაშვილიც,** რომელიც აცხადებს, რომ გამოტანილი მკაცრი ვერდიქტი მხოლოდ საზოგადოებისა და ოპონენტების დაშინებას ემსახურება:



**„არანაირი ახსნა არ მაქვს იმ მოვლენების, რომლის გამოც ის დააპატიმრეს... მაგრამ სრულიად ცხადია, რომ მისი სასჯელი მხოლოდ შურისძიების, დაშინების მიზანს ემსახურება, არაფერი აქვს საერთო სამართლის აღსრულებასთან. თუ ვინმეს აქამდე ერიდებოდა მასზე, როგორც პოლიტიკურ პატიმარზე ესაუბრა, სასჯელის უკანონობამ და სისასტიკემ სრული ლეგიტიმაცია მისცა ამისთვის“** — ამბობს **სამადაშვილი.**

საპირისპიროდ, მმართველი გუნდის ლიდერები აცხადებენ, რომ ელისაშვილმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა, ოპოზიციის მხრიდან მისი გამართლების მცდელობა კი მათ ანტისახელმწიფოებრივ ბუნებაზე მიუთითებს:

**„ეს არის უმძიმესი დანაშაული და ეს აჩვენებს კიდევ ერთხელ აგენტურის სახეს, ისიც ხომ ერთ-ერთი წარმომადგენელია ამ კოლექტიური ძალის. როდესაც ეს ადამიანები, აგენტურა, ელისაშვილის ამ ქმედებას აცხადებენ არადანაშაულებრივ ქმედებად, ეს ნიშნავს იმას, რომ მთლიანად ამ აგენტურის განწყობა, დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ არის ტერორისტული და ამას სჭირდება სათანადო სამართლებრივი შეფასება, ამისთვის ბოლომდეა მისაყვანი ყველა ის სამართლებრივი პროცესი, რომელიც არის დაწყებული“** — განაცხადა **ირაკლი კობახიძემ.**

პარლამენტის თავმჯდომარე **შალვა პაპუაშვილი** საერთაშორისო პარტნიორებს მიმართავს და „ლელოს“ ევროპული ოჯახიდან გარიცხვის საკითხს აყენებს

**„ლიბერალებისა და დემოკრატების ევროპულმა ალიანსმა (ALDE) ან უნდა აიძულოს პარტია „ლელო“ გაემიჯნოს ტერორიზმს, ან გარიცხოს „ლელო“ საკუთარი რიგებიდან. სხვა შემთხვევაში, თავად ALDE გახდება ტერორიზმის მხარდამჭერი გაერთიანება“** — ამბობს **პაპუაშვილი.**

ხელისუფლების წარმომადგენელთა შეფასებით, სასამართლოს განაჩენი რეალურად მთელი რადიკალური ოპოზიციური სპექტრის სახეს წარმოაჩენს:

**„ამას ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყანაში არ შეიძლება ოპოზიცია ერქვას, რომელიც ტერორისტული აქტების ჩამდენებს პოლიტპატიმრებს ეძახის, ამას ამართლებს და მხარდასაჭერ „ქარდებს“ უძღვნის. ეს არის ის ვერდიქტი, რომელიც არა მარტო ალეკო ელისაშვილს ეკუთვნის მის მიერ ჩადენილი ქმედების გამო, არამედ — მთლიანად ოპოზიციას. ეს ერთი პიროვნებაც და ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც დღეს ამა თუ იმ სიმძიმის სასჯელს იხდის, ასეთი ანტისახელმწიფოებრივი, ანტიდემოკრატიული მიდგომებით არიან მისული ამ მდგომარეობამდე“** — ამბობს **ირაკლი ქადაგიძე.**

**ალეკო ელისაშვილისთვის გამოტანილი 13-წლიანი სასჯელი ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში ახალ, კიდევ უფრო რადიკალურ ფაზას ხსნის. სამართლებრივი დავა, სავარაუდოდ, ზემდგომ ინსტანციებში გაგრძელდება, თუმცა პოლიტიკური განაჩენი მხარეებმა უკვე საბოლოოდ გამოიტანეს.**

ლიკა ბერიკაშვილი

# რა კავშირი ჰქონდა მას ახალაიასთან, ბურჭულაძესთან და 4 ოქტომბრის საქმის სხვა ფიგურანტ პირებთან?

# ვინ არის ბექა ჭულუხაძე?!






**სუს-მა 4 ოქტომბრის საქმესთან დაკავშირებით, საქართველო-სომხეთის გამშვებ პუნქტებს შორის ნეიტრალურ ზონაში, ბექა ჭულუხაძე დააკავა, რომელიც ამავე საქმეზე იყო ძებნილი. დაკავებულს ბრალად ედება 2025 წლის 4 ოქტომბერს ორგანიზებული ჯგუფური ძალადობისა და პრეზიდენტის სასახლის ხელში ჩაგდების მცდელობის პარალელურად, დივერსიული აქტების მოწყობის მიზნით, დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალისა და ასაფეთქებელი საშუალებების შეძენა-შენახვა.**

**შეგახსენებთ, რომ გასული წლის 4 ოქტომბერს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა, თბილისის მახლობლად, ტყის მასივში, სპეციალურ სამალავში აღმოაჩინეს გადამალული ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერებები დეტონატორით. გამოძიება მუშაობს დაკავებული პირისა და მისთვის დანაშაულებრივი დავალებების მიმცემი პირების კონტაქტების დადგენაზე ბაჩანა ახალაიასთან, პაატა ბურჭულაძესთან და 2025 წლის 4 ოქტომბრის დანაშაულის ორგანიზებაში ჩართულ სხვა პირებთან.**

რაც შეეხება ჭულუხაძის დაკავების ოპერაციას, სუს-ის უფროსის მოადგილემ **ლაშა მაღრაძემ** აღნიშნა, რომ სუს-მა კომპლექსურად ჩატარებული სპეციალური ღონისძიების შედეგად, რომელიც ბოლო 4 დღის განმავლობაში სამსახურის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით მზადდებოდა, საქართველო-სომხეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტებს შორის, ნეიტრალურ ზონაში დააკავეს.

**□გამოძიებით დადგენილია, რომ უკრაინაში მოქმედი ერთ-ერთი სამხედრო დანაყოფის ქართველი წარმომადგენლის მითითებით, დაკავებულს შეძენილი ჰქონდა ზემოთ ხსენებული საბრძოლო მასალა, რომლითაც 4 ოქტომბრის არეულობის ორგანიზატორებს, საჭიროების შემთხვევაში, დივერსია უნდა მოეწყოთ. როგორც გახსოვთ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად, გასული წლის 4 ოქტომბერს ასევე მოხერხდა იმ პირთა წრის განეიტრალებაც, რომლებსაც, სავარაუდოდ, აღნიშნული საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერებები თბილისის ცენტრში უნდა გადაეტანათ□** – აღნიშნა **ლაშა მაღრაძემ.**



ლაშა მაღრაძე

დაკავებულს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით აქვს წარდგენილი. გარდა აღნიშნული კვალიფიკაციისა, გამოძიება მუშაობს დამატებითი მტკიცებულებების მოპოვებაზე დივერსიული აქტის თუ საზღვრის უკანონო კვეთის მომზადების მიმართულებით.

ბექა ჭულუხაძე, რომელსაც სუს-ის ინფორმაციით მცხეთის მუნიციპალიტეტში, საავტომობილო გზის მიმდებარედ, ტყეში, საბრძოლო მასალა და ასაფეთქებელი მოწყობილობა ჰქონდა დამალული, ბრალს არ აღიარებს.

მისი ადვოკატის, **გაიოზ ჩარკვიანის** განცხადებით, ოჯახი ამბობს, რომ იარაღი მისი არ არის. გარდა ამისა, კადრები რაც გავრცელდა, ჩვენს ტერიტორიაზე, საქართველოში გადაღებული არ არის.

**ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობით ვაზნები, ყუმბარმტყორცნი, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები, ფეთქებადი ნივთიერება – ტროტილი და ასაფეთქებელი მოწყობილობები, 3 ელექტროდეტონატორი და ორი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, სუს-ის ოპერატიული ინფორმაციით, ამ საბრძოლო მასალის გამოყენებით, თბილისში, 4 ოქტომბერს ორგანიზებული ჯგუფური ძალადობისა და პრეზიდენტის სასახლის ხელში ჩაგდების მცდელობის პარალელურად, დივერსიული აქტები უნდა განხორციელებულიყო.**

**თამთა ქარჩავა**



## პოლიციელს ცოლზე ძალადობის საქმის გამო ელექტრონული სამაჯური შეაბეს!

**პოლიციელ სოსო სიგუას, ცოლზე ძალადობის საქმეზე დაწყებული გამოძიების გამო ელექტრონული სამაჯური შეაბეს.**

ამის შესახებ ქალთა უფლებადამცველი ორგანიზაციის □საფარის□დირექტორმა **ბაია პატარაიამ** სოციალურ ქსელში დაწერა. ისინი უწევენ სამართლებრივ დახმარებას **სიგუას** ცოლს, **სოფიო სიგუა-შატბერავას.** ორგანიზაცია საქმეში რამდენიმე დღის წინ ჩაერთო.

ცოლი სოსო სიგუას ძალადობაში ადანაშაულებს. სიგუა ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსად 9 ივლისს დანიშნეს, იქამდე კი თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივების სამმართველოს უფროსი იყო.

დაწინაურებამდე ტელეკომპანია პირველმა მოამზადა სიუჟეტი, სადაც სიგუას ცოლი ქმარს ფიზიკურ ძალადობაში





ადანაშაულებდა. **მისი მონათხრობის თანახმად, მაღალჩინოსანი ქმარი მას □მე-12 სართულიდან გადაგდებით□ □კასრში ჩასმითა და დამარხვით□ემუქრებოდა. სოფია სიგუა კამერის წინ ყვება, რომ □იოსებ სიგუამ მას იარაღი შუბლზე დაადო და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა□**

რესპონდენტი ამბობს, რომ პოლიციელი მას ორსულობის დროსაც სცემდა. მისი ნაამბობის თანახმად, „სცემდა ისე, რომ კვალი არ დაეტოვებინა“.

**დოკუმენტი, რომელიც □შაბათის ეთერმა□მოიპოვა, ადასტურებს, რომ იოსებ სიგუას 2026 წლის 21 თებერვალს შემაკავებელი ორდერიც ჰქონდა გამოწერილი.**

**სოსო სიგუა ამ სიუჟეტის ეთერში გასვლიდან რამდენიმე დღეში დააწინაურეს და თბილისის პოლიციიდან ცენტრალურ კრიმინალურ პოლიციაში გადაიყვანეს და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველო ჩააბარეს.**

# „ღრმაწყლოვანის“ ღრმა კრიზისი...

**საქართველოს მთავრობამ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა ე.წ. „ლენდლორდის□ მოდელის გამოყენებით გადაწყვიტა. ამ მოდელის მიხედვით, სახელმწიფო შეინარჩუნებს პორტის ძირითადი ინფრასტრუქტურის საკუთრებას და დამოუკიდებლად უზრუნველყოფს მის განვითარებასა და მართვას.**

**პროექტის მთლიანი საინვესტიციო ღირებულება კვლავ 1.1 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. თუმცა, საქართველოს პირდაპირი ხარჯები გაიზრდება, რადგან ძირითადი ინფრასტრუქტურა სახელმწიფო საკუთრებაში დარჩება. ახალი მოდელის თანახმად, სახელმწიფოს დამატებით 200 მილიონი დოლარის მობილიზება დასჭირდება.**



# ანაკლია ჩინეთის გარეშე?



## საქართველო ინარჩუნებს კონტროლს და ეძებს ინვესტორებს

**□ამ პროექტის მფლობელი სხვა არავინ იქნება, რადგან ის ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტია. მფლობელი სახელმწიფო იქნება. ეს არის ქართული პორტი და ის ქართულ პორტად დარჩება. რაც შეეხება საერთაშორისო კომპანიების მონაწილეობას, ისინი უშუალოდ იქნებიან ჩართულნი ტერმინალის ინფრასტრუქტურის მართვაში, რასაც საკუთრების საკითხთან საერთო არაფერი აქვს□** – განაცხადა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **მარიამ ქვრივიშვილმა.**

მისივე თქმით, საქართველოს მთავრობა განსაკუთრებით მიესალმება ანაკლიის პორტში იმ ქვეყნების ინვესტიციებს, რომლებიც შუა დერეფნის მონაწილეები არიან, მათ შორის ჩინეთის, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებისა და აზერბაიჯანის...

ამასთან, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობაში საერთაშორისო კომპანიების მონაწილეობა კვლავ მთავარ გეოპოლიტიკურ საკითხად რჩება. არავის სურს პროექტში ინვესტიციის განხორციელება მომავალი პორტის მიმართ გარანტირებული □გეოპოლიტიკური კონტროლის□გარეშე. მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ 2024 წლის მაისში განაცხადა, რომ ჩინურ-სინგაპურული კონსორციუმი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან **China Communications Construction Company** და **China Harbour Investment**, ანაკლიის პორტის აქციების 49%-ს შეიძენდა, პროექტის სწრაფი განხორციელების იმედი გაჩნდა. თუმცა, საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, ასევე ოპოზიციის ბრალდებებმა იმის შესახებ, რომ □ქართული ოცნების□ხელისუფლება □პროდასავლური□და □პროევროპული□პოლიტიკიდან □პრორუსულ□და □პროჩინურ□ კურსზე გადადის, პროექტის დროულად დაწყებას ხელი შეუშალა.

გარდა ამისა, აშშ-მა და ევროკავშირმა საქართველოზე ზეწოლა გააძლიერეს, რათა ხელი შეუშალონ ჩინეთს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ღრმაწყლოვანი პორტის პროექტზე კონტროლის მოპოვებაში, რომელიც მას ატლანტის ოკეანემდე უმოკლეს გასასვლელს მისცემდა. აშშ-მ სანქციებიც კი დაუწესა ანაკლიის პორტის წილის შეძენით დაინტერესებულ მხარეებს. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საქართველოს მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში თავს იკავებდა ჩინეთთან ანაკლიის პორტის 49%-იანი წილის გადაცემის შესახებ ოფიციალური შეთანხმების ხელმოწერისგან.

პეკინის ამბიციებთან დაკავშირებით ვაშინგტონის უკმაყოფილებას ანაკლიის პორტის პროექტის დაფინანსების შესახებ, აშშ-ის ალტერნატიული წინადადებები არ მოჰყოლია. ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** 2026 წლის აპრილში განაცხადა.

**□მიუხედავად საქართველოს მთავრობის კოორდინირებული ძალისხმევისა, დაეინტერესებინა არა მხოლოდ ამერიკელი ინვესტორები, არამედ თავად აშშ-ის მთავრობაც, რათა მათ საკუთარი ბიზნესები ანაკლიის პორტში ინვესტიციების განხორციელებისკენ წაეხალისებინათ, ამერიკული მხარის ინტერესის გაღვივება ვერ მოხერხდა□** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა** ჟურნალისტის კითხვის საპასუხოდ, რომელიც ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტით აშშ-ის შესაძლო დაინტერესებას შეეხებოდა.

საქართველოს მთავრობის ამჟამინდელი გადაწყვეტილება, ანაკლიის პორტი ე.წ. □ლენდლორდის□მოდელით ააშენოს, მიუთითებს, რომ თბილისს არ სურს, ჩინეთს შავი ზღვის სანაპიროზე □საგუშაგო□მისი პირობებით გადასცეს. ამასთან, ჩინელ ინვესტორებს კვლავ სთავაზობენ პორტის მშენებლობაში მონაწილეობას, რადგან საქართველოს სახელმწიფოს ასეთი მასშტაბის პროექტის დამოუკიდებლად განხორციელებისთვის საკმარისი ფინანსური რესურსი არ გააჩნია.

**ახლა მთავარი კითხვა ის არის, დათანხმდება თუ არა ჩინეთი ანაკლიის პორტის მშენებლობაში მონაწილეობის ახალ პირობებს, იმის გათვალისწინებით, რომ თავდაპირველად სასურველ შედეგს ვერ მიაღწევს. მეორე მხრივ, ამ ვითარებაში პეკინმა, სავარაუდოდ, თავისი კითხვები უფრო ვაშინგტონს უნდა დაუსვას, ვიდრე თბილისს, რადგან სწორედ ვაშინგტონის ზეწოლამ შეუშალა ხელი საქართველოს მთავრობას ჩინეთის მიერ შეთავაზებულ პირობებზე დათანხმებაში.**

ამავდროულად, ჩინეთს კვლავ მწვავედ სჭირდება შუა დერეფნის გასწვრივ ეფექტიანი ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა, რომლის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ღრმაწყლოვანი პორტი, რომელსაც 15 000-24 000 TEU-ის (ოცი ფუტის ეკვივალენტური კონტეინერი) ტევადობის კონტეინერმზიდი გემების მიღება შეუძლია. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საქართველოს გარდა, რომელიმე სხვა ქვეყანამ შეძლოს ჩინელ პარტნიორებს ანაკლიის პორტის პროექტის მსგავსი შესაძლებლობები შესთავაზოს.

**ცხადია, ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელება კვლავაც შეფერხდება, რადგან საქართველოს მთავრობას არ სურს ეროვნული სუვერენიტეტისა და სახელმწიფო ინტერესების მნიშვნელოვანი ნაწილის ერთი გეოპოლიტიკური მოთამაშისთვის გადაცემა. თუმცა, თუ კონტროლის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაჩქარევად გადაეცემა, მაგალითად, ბრიუსელს, როგორც ამას □პროევროპული□ოპოზიცია მოითხოვს, მომავალში მისი დაბრუნება შესაძლოა შეუძლებელი აღმოჩნდეს.**

**ამასთან, არ არსებობს იმის გარანტია, რომ დასავლელი ინვესტორები ანაკლიის პორტს ააშენებენ, მაშინაც კი, თუ საქართველოში ხელისუფლებაში □პროევროპული□ძალები მოვლენ. არსებული ეკონომიკური სირთულეების გათვალისწინებით, ევროპელ ინვესტორებს, შესაძლოა, უბრალოდ, არ ჰქონდეთ ასეთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსები. გარდა ამისა, ევროკავშირი ამჟამად ნაკლებად არის დაინტერესებული საკუთარი რესურსების გამოყენებით, რათა ხელი შეუწყოს თავისი მთავარი ეკონომიკური კონკურენტის, ჩინეთის ევროპულ ბაზრებზე საქონლის მიწოდების ლოჯისტიკის განვითარებას.**

**Caliber.Az**-დან თარგმნა
**ქეთი გიორგაძე**





**აზერბაიჯანის პრეზიდენტმა, ილჰამ ალიევმა აზერბაიჯანიდან საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შესახებ შეთანხმება დაამტკიცა.**

საუბარია □აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შესახებ შეთანხმებაზე□ რომელსაც 18 მაისს ბაქოში მოეწერა ხელი.

**აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაევალა, აცნობოს**

## ილჰამ ალიევმა აზერბაიჯანიდან საქართველოსთვის ბუნებრივი აირის მიწოდების შესახებ 18 მაისს ხელმოწერილი შეთანხმება დაამტკიცა

**საქართველოს მთავრობას შეთანხმების ძალაში შესვლისთვის აუცილებელი შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების დასრულების შესახებ. შეგახსენებთ, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულება საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ბაქოში ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა, რითაც საქართველო-აზერბაიჯანს შორის აზერბაიჯანიდან გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება 20 წლით გაგრძელდა. ხელშეკრულება სოციალური გაზმომარაგების უსაფრთხოების გარანტიებსაც გულისხმობს.**



# დიდ ქართულ პოეზიას ტარიელ ჭანტურია მოუკვდა...



**თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, კულტურამ, სრულიად საქართველომ უმძიმესი, მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.**

გარდაიცვალა XX-XXI საუკუნეების ქართული პოეზიის უბრწყინვალესი წარმომადგენელი, საზოგადო მოღვაწე და ერისკაცი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი ტარიელ პროკოფის ძე ჭანტურია.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა დიდებული შემოქმედი, რომელიც თავისი საკმაოდ ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში მუდამ ქართული მწერლობის, მისი საფიცარი სამშობლოს ქარტეხილებითა და კატაკლიზმებით საფიცარი მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდა და თავისი კალმით იცავდა მშობელი მიწის სასიცოცხლო ინტერესებს...

ტარიელ ჭანტურია დაიბადა 1932 წლის 11 ივლისს სოფელ სუფსაში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, 1951 წელს, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1956 წელს დაასრულა.

მას შემდეგ ტარიელ ჭანტურია სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალ „ცისკრის“ კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილების გამგედ, ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქტორად, გამომცემლობების „მერანისა“ და „ნაკადულის“ განყოფილებების გამგედ, საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის კონსულტანტად, გაზეთ „მამულის“ მთავარ რედაქტორად, ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგში შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ და შემდგომ – თავმჯდომარედ. არჩეული იყო გელათის აკადემიის წევრად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის წევრად, პოეზიის სექციის ბიუროს თავმჯდომარედ...

სადაც არ უნდა ემუშავა ტარიელ ჭანტურიას, ყველგან პროფესიონალიზმით და კაცთმოყვარეობით გამოირჩეოდა, ყველგან ამაყად და შეურცხვენლად ატარებდა ქართველი მწერლის საპატიო სახელს.

ტარიელ ჭანტურიას სამწერლო კურთხევა 1951 წელს შედგა, როდესაც ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსი „ნადირობა“. მას შემდეგ ამ დიდებული შემოქმედის თხზულებანი სისტემატურად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ტარიელ ჭანტურიას სახით ქართულ პოეზიას უაღრესად თვითმყოფადი, გამორჩეულად ორიგინალური ხელწერის მქონე წარმომადგენელი ჰყავდა, რომლის შემოქმედების უმთავრესი მოტივები და ინტონაციები ლიტერატურის განვითარების შინაგანი კანონებიდან გამომდინარეობს. იგი თავისი სტილითა და სულიერი წყობით ჭეშმარიტად თანამედროვე შემოქმედი იყო. მისი ფიქრის და ზრუნვის საგანს წარმოადგენდა ყველა და ყველაფერი, რასაც ჩვენს მღელვარე ეპოქაში განადგურების საფრთხე ემუქრებოდა და ემუქრება – სიყვარული, სათნოება, სიკეთე, პატიოსნება და, რაც უმთავრესია, მშობელი ქვეყანა. ამიტომაც გრგვინვასავით გაისმოდა მისი ვაჟკაცური და ომახიანი შეძახილი – „საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!“ ეს შეძახილი სრულიად საქართველოს ეფინებოდა და ჭეშმარიტ მამულიშვილებს ერთ მუშტად კრავდა...

სწორედ ამიტომაა, რომ ტარიელ ჭანტურიას პოეტური კრებულები („ლტოლვა“, „საქანელა“, „გაღმა ნაპირი“, „წყნარი მზის წელიწადი“, „პოემები“, „ჰორნი“, „სტრესები და სიტყვები“, „მტვრიანი სხივი“, „თაფლობის საუკუნე“, „დაწყვეტილი სერპანტინი“, „რჩეული“, „მწერლის წითელი წიგნი“, „ზალიში – უატომო ზონა“, „სიყვარული – რეფრენი“, „გული მარჯვნივ“, „ახალი მთვარე“, ორტომეული, „კოლხური კაპრიჩიო“..), რომლებსაც გაბედულება, სიახლის დამკვიდრებისა და სტერეოტიპების მსხვრევის სურვილი გამოარჩევს, შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. სწორედ ამიტომაც ითარგმნა პოეტის რჩეული ლექსები ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, ჩეხურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე...

ტარიელ ჭანტურია იმავდროულად შესანიშნავი მთარგმნელი იყო და ბრწყინვალედ თარგმნა ფედერიკო გარსია ლორკას, ალექსანდრ ბლოკის, ბორის პასტერნაკის, ანა ახმატოვას, ანდრეი ვოზნესენსკის, ბელა ახმადულინას პოეზიის ცალკეული ნიმუშები, ჰერმან მელვილის რომანი „მობი დიკი“ (გივი გეგეჭკორთან ერთად).

ქართველი ბავშვების საყვარელ, სამაგიდო წიგნებად იქცა პოეტის საბავშვო ლექსებისა და პოემების კრებულები „წიკ-წიკ, წიკ-წიკ, საათო!“, „ფრინდი-ფრინდი, ზურია!“, „კევიღეჭია გაჭია“, „ნეკოდენა ლექსები“..

**ცალკე აღნიშვნის ღირსია ტარიელ ჭანტურიას ლიტერატურულ-კრიტიკული წერილების, ესეებისა და პუბლიცისტური სტატიების სამი კრებული („ყულაბა, სავსე ოცნებით“, „დინოზავრიდან დიზაინამდე“, „გაყიდე სამოსელი და იყიდე მახვილი“), რომლებშიც სრული სისავსით გამოისახა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისთვის მებრძოლი სულის მქონე რაინდის ხატება...**

ტარიელ ჭანტურიას ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო – შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის, „საბას“, „საგურამოს“ პრემიები, ილია ჭავჭავაძის ოქროს მედალი, თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება...

წავიდა დიდი შემოქმედი და პიროვნება, დაგვიტოვა სევდა, დიდი ადამიანური სევდა ამ დიდებულ შემოქმედთან ფიზიკური განშორების გამო, თუმცა მისი, როგორც შემოქმედის, მოაზროვნის და ერისკაცის სიცოცხლე გრძელდება იმის დასტურად, რომ ძელგი ღვინოსავით ნაღდ და უტყუარ შემოქმედებას ისევე არ უწერია იავარქმნა და დავიწყება, როგორც თავად ამ შემოქმედების ავტორს.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**



მამა-შვილი – ტარიელ და ირაკლი ჭანტურიები

## ტარიელ ჭანტურია

### გმირები

(პათეტიკური)

სალამი სალამს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს!
ჩვენ ბევრჯერ ვიშვით
და ბევრჯერ მოვკვდით.
და როცა მოვკვდით –
ყოველთვის ვცხონდით!..
სალამი სალამს:
ნინოს და თამარს;
თამარს და ნინოს;
და ისევ – თამარს!
თევდორე ხუცესს;
პაატა რაინდს;
ცხრა ლომგულ ძმას და
არაგველს სამასს!..
ყველანი აქ ვართ!
აქ არის ყველა!
შეხედე: ცოტნეც
მოვარდა ჩორთით!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
საქართველოსთვის!
ბიჭებო, სწორდით!..
დიდება მამულს:
ხერთვისს და რუსთავს;
რუსთავს და არმაზს;
არმაზს და ჭყონდიდს!
საქართველოსთვის
ჩვენ ბევრჯერ მოვკვდით,
და როცა მოვკვდით –
ყოველთვის ვცხონდით!..

### ირაკლი ჭანტურიას

შვილო, რატომ დამტოვე
მარტო,
დამისვი მუხლზე,
რომ საჭე ვმართო,
თუმცა მე დამრჩა ბუხარი
შენი
და ხავსიანი საფლავი ფართო.
მე შენს კეთილ გულს
გაგლეჯილს სამად
ვიგონებ, როგორც დაკარგულ
იმედს,
რა მოხდა, არც სხვებს არა
ჰყავთ მამა,
თან სხვებსაც ჰქონდათ
ბავშვობა მძიმე.
უპანთეონოდ გავალ იოლად
ჰქონდეთ დიდუბე სხვებს
ჩემი წილი,
რა სჯობს როდესაც
მარადიულად
გვერდიგვერდ წვანან მამა
და შვილი...

## პატრიარქის სამძიმარი

**ჩვენი საზოგადოება ეთხოვება სახელოვან პოეტსა და კეთილშობილ პიროვნებას ტარიელ ჭანტურიას. მისი გულწრფელობით, სულიერი სიღრმითა და დახვეწილი პოეტური ენით გამორჩეული შემოქმედება ადამიანს მარადიულ ღირებულებებზე აფიქრებს,** – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის **შიო მესამის** სამძიმრის წერილშია ნათქვამი.

„სახელოვან პოეტსა და კეთილშობილ პიროვნებას – ტარიელ ჭანტურიას ეთხოვება ჩვენი საზოგადოება. მისი გულწრფელობით, სულიერი სიღრმითა და დახვეწილი პოეტური ენით გამორჩეული შემოქმედება ადამიანს მარადიულ ღირებულებებზე აფიქრებს. იგი სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში თავმდაბალ შემოქმედად, რომელიც თავისი ხალასი იუმორითა და სითბოთი ყველას სიყვარულსა და სიკეთეს უზიარებდა. აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალმა სავანესა მართალთასა დააწესოს მისი უკვდავი სული, ხოლო ოჯახის წევრებსა და ახლობლებს მიმადლოს მშვიდობა და ძალა მისთვის ლოცვისა“

შიო III

## საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე მწუხარებას გამოთქვამს

**„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ტარიელ ჭანტურიას გარდაცვალების გამო.** ტარიელ ჭანტურიამ თავისი ნიჭიერებითა და წერის განსაკუთრებული მანერით მკითხველის დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. ვუსამძიმრებ ოჯახს, ახლობლებსა და ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც ძვირფასია ტარიელ ჭანტურიას შემოქმედება“

## საქართველოს კულტურის სამინისტრო სამძიმრის წერილს ავრცელებს

**„მწუხარებას გამოვთქვამთ ქართველი პოეტის, ტარიელ ჭანტურიას გარდაცვალების გამო.**

ტარიელ ჭანტურიას პოეზია და მრავალწლიანი შემოქმედებითი საქმიანობა ქართული კულტურის მნიშვნელოვან ნაწილად იქცა. მისი გარდაცვალებით ქართულმა ლიტერატურამ გამორჩეული პოეტი, საზოგადოებამ კი, ღირსეული ადამიანი და მოქალაქე დაკარგა. სამძიმარს ვუცხადებთ ბატონი ტარიელის ოჯახს, ახლობლებს, მეგობრებსა და კოლეგებს“

# ქვის სიმფონია



**ოთხმოცდარვა წლის კაცია იური სადუნიშვილი – მთელი თავისი დღე და მოსწრება ქვასთან შეჭიდებული.**

**ჭირივით ეზიზღებოდა გამოთქმები: ქვა ხომ არა ხარო, ქვის გული ხომ არ გაქვსო...**

**ქვა მისთვის ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც გულიც აქვს, სულიც, გრძნობელობაც, მუსიკასაც გამოსცემს.**

**თუ არ აქვს, თვითონ ჩაუდგამს და აყურადებს ქვის სიმფონიას.**

პრობლემაც ბევრი ჰქონია და უკეთურებაზეც მრავალჯერ შემომწყრალა, თუმცა ამაებზე ზოგი რომ ლაზათიანად შეიგინება ბოღმისა და წყენისგან განსატვირთვად, ის – რა მოგვივიდა, რას გადამეკიდე, შე დალოცვილოო. „გენაცვალე□ და „შენი ჭირიმე□ამოსდის პირიდან დღენიადაგ.

გორიჯვრის წმინდა გიორგის სახელობის აღდგენილი ტაძარი, აღმდგენელი თამაზ მაჭავარიანი, მშენებელი იური სადუნიშვილი

უსაზღვროდ, უკიდეგანოდ რელიგიურია, ღვთისმოშიში და ღვთისმოყვარე.

რაიმე სპეციალური განათლება არ აქვს. საამისოდ ნიჭი როგორ არ გააჩნდა, მაგრამ სად ეცალა – მშობლებმა ძლივს, გაჭირვებით გაზარდეს ოთხ დედმამიშვილთან ერთად. სამაგიეროდ ცხოვრებამ და პრაქტიკამ ბევრი რამ ასწავლა. თითქმის გადაღეჭილი აქვს რელიგიის, მართლმადიდებლური ქრისტიანობის ისტორია. უამისოდ ჩემი პროფესიის კაცი ვერას გახდებაო. ქვითხურობაა მისი პროფესია, რაც თავი ახსოვს კვეთს, აჩუქურთმებს, აშენებს...

მშენებელ ბიძას სთხოვა პირველად ქვასთან შეხების უფლება. თანხმობა რომ მიიღო, ისე ლამაზად ჩასვა კედელში, რომ თქვენი და ჩვენი მოწონებული. მას შემდეგ წერაქვი და შვეული არ გაუგდია ხელიდან. უთენია გამოდის სახლიდან. შეხედავს მოდინახის ციხის ცოტა მოშორებით მთის მწვერვალზე სამტრედესავით მიშენებულ თეთრ, მცირე ზომის ტაძარს, პირჯვარს გადაიწერს და მიდის, მიდის...

საჩხერლებისთვის უდიდესი ღვთის ძალის მქონე ეს ტაძარია მისი მარჯვენის მთავარი შედევრი. ჩვენებურებისთვის ეს ადგილი ოდითგანვე იყო წმინდა სალოცავი, სიცხეში თუ ავდარში უხდებოდა მოსახლეობას მისი მოლოცვა ღამის თევით.

იდეა ამ მიუვალ ადგილზე ტაძრის აღდგენისა პირველად წმინდა ნინოს ეკლესიის მოძღვარს, აწ განსვენებულ მამა დავითს გაანდო.

თუმცა ეს, ისე თვითონ არ გასჩენია – ძილში ანგელოზები გამომეცხადნენ და მიკარნახესო, ამბობს.

საერთოდ რაც კი შეუქმნია, ყველაფერი ანგელოზებისგან ჰქონია ნაკარნახები.

– რა უტოპიური აზრი მოგსვლია, იქამდე დატვირთულს კი არა, ცარიელ მანქანასაც უჭირს მისვლა. ისიც მხოლოდ დარიან ამინდში. სამშენებლო მასალა რით ავიტანოთ, ან რა თანხებით... უთქვამს მამა დავითს.

შემდეგ მიმდგარ-მომდგარა ეს მადლიანი ღვთის მსახური, შეუწუხებია ვიღაც-ვიღაცები. ამასობაში ქველმოქმედი პიროვნება – თამაზ მაჭავარიანიც გამოჩენილა.

უკეთესს რას მოვიმოქმედებდი და არც მე დამიკლია ყურადღება იმ დროს რაიონის გამგებლად მუშაობის პეროდში ბევრი საჩხერელი მონაწილეობდა მშენებლობაზე უსასყიდლოდ.

და იშვა ტაძარი ესე – საწერეთლოს დიდი სასწაული და მშვენება! ახლა მასთან მისვლა აღარავის უჭირს კარგი ბეტონის გზის გამო. ინფრასტრუქტურაც შესაბამისია.

ოცამდე ეკლესია აქვს აშენებულ-რესტავრირებული ხელმადლიან ქვითხუროს, სამოცდაათამდე – საცხოვრებელი სახლი, მრავალი წყარო.

ასე რომ, თუ საჩხერეში ყველაზე ლამაზი საკულტო-რელიგიურ ნაგებობას, წყაროს ან სახლს ნახავთ, ეს იური სადუნიშვილის ნამოქმედარი და მათი ნაწილი ნაქველმოქმედარია.

უამრავი მეგობარი, პატივისმცემელი და მადლიერი ჰყავს საჩხერეში დ არა მარტო ჩვენში.

თვითონაც ბევრისადმი მადლიერია, მათგან აკადემიკოს ელდარ ნადირაძეს გამოყოფს და აი, რატომ:

**„როდესაც გორიჯვრის სალოცავზე უამინდობის გამო მასალები შემომაკლდებოდა, ჭორვილაში ავდიოდიო. ბატონი ელდარის თხოვნით ათონის კარიბჭის ღვთისმშობლის სალოცავს ვაშენებდი. უნდა გამოვტყდე, ელდარისგან, ჩემზე გაცილებით უმცროსი კაცისაგან, ბევრი რამ ვისწავლე ადამიანური ფხუკიანმა იმერელმა კალატოზმაო. ელდარს თავისი დაბადების 70 წლისთავისადმი გამოცემულ ნაშრომზე ასეთი წარწერა მიუძღვნია „ერთ-ერთ უიშვიათეს კაცს, ვისაც შევხვედრივარ ჩემი ცხოვრების გზაზე, ჭეშმარიტი ქართველის ტიპს, მშრომელს, შეუპოვარს, მართალს და ღირსეულ კაცს, ჩემს იური სადუნიშვილს□**

შენი

**ელდარ ნადირაძე,**

28 აგვისტო, მარიამობა, ჭორვილა, 2020 წელი.

— — — — — — — — — — — — —

**„ფხუკიანობით□კი არა, თავმდაბლობის გამოა ეს თვით შეფასება. გავშვსაც კი მოწიწებით, თავდაკვრით ესალმება.**

ერთი რამეცაა საკვირველი: ასეთი დატვირთული სამუშაო გრაფიკის პირობებში როგორ მოასწრო შესანიშნავი ქართული ტრადიციული ოჯახის შექმნა, კარგი შვილების აღზრდა.

ეგ კი არა და, მისთვის საყვარელი სპორტის – ჭადრაკის სათამაშოდაც იცლის. რეგულარულად მონაწილეობს მუნიციპალურ ჩემპიონატებსა და ტურნირებში. ჩემპიონობაც უზეიმია და პრიზიორობაც.



დრო თითქოს გაჩერებულია ამ მაღალი, გამხდარი, ხელებდაკოჟრილი 88 წლის კაცისათვის.

კი, ხვალ დილითაც უთენია ადგება, წერაქვს და შვეულს მოიხელთებს, გორიჯვარს შეხედავს, პირჯვარს გადაიწერს და...

მერე დაღლილი წამოისვენებს ჩრდილში, თავის ნამოქმედარს შეავლებს თვალს და კარგა ხანს მოუსმენს ქვის იდუმალ სიმფონიას...

**ცეზარ ლაშხი,**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის მმართველი.
სხვიტორი, 2026 წლის 9 ივლისი

# საქართველოში თხევადი გაზის კიდევ უფრო მეტად გაძვირება გარდაუვალია!

**რუსეთში ქარხნების დაზიანებისა და ბირჟაზე ფასების ზრდის გამო, თხევადი გაზის პროდუქტი დეფიციტური ხდება. ამიტომ პრობლემები მოსალოდნელია საქართველოშიც. ფასი ისედაც მაღალ ნიშნულზეა და დამატებითი გაძვირება უკვე ვითარებას გაამწვავებს. გარდა ამისა, დედაქალაქში სხვა პრობლემაცაა, რაც გაზგასამართი სადგურების დაჯარიმებას უკავშირდება. საქმე უკვე სასამართლომდეც მივიდა.**

**თხევადი გაზის იმპორტიორთა და რეალიზატორთა ასოციაციის პროგნოზით, თუ დღეს ერთი ლიტრი თხევადი გაზი 1.60-1.70 ლარი ღირს, უახლოეს ორ კვირაში ფასმა, შესაძლოა, 1.80 ლარს მიაღწიოს.**

ბიზნესი ალტერნატიულ გზებს ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და თურქმენეთში ეძებს, რაც ლოჯისტიკურ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

**□ჩვენთან ძირითადი მოცულობები შემოდის ვლადიკავკაზიდან სახმელეთო გზით და ამ კრიზისის და ომის გამო, როგორც ბენზინსა და დიზელზე შეიქმნა პრობლემა, უკვე ნელნელა პრობლემა ექმნება თხევად გაზსაც.**

**ვმუშაობთ, რომ პროდუქტი შემოვიდეს სხვა ქვეყნებიდან და არ შეწყდეს იმპორტი. იმ ფონზე, როცა ჩვენ ვცდილობთ უზრუნველვყოთ საქართველოს მოქალაქეები თხევადი გაზით და არ მოხდეს წყვეტა, მერია მოდის და აჯარიმებს სადგურებს. ეს დამატებითი წნეხია და იმის მაგივრად, რომ ხელი შევუწყოთ ერთმანეთს და შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, ამის მაგივრად იწერება ჯარიმები, როცა ჩვენ გაცილებით დიდი პრობლემები გვაქვს ამ პროდუქტის შემოტანასთან დაკავშირებით.**

**რუსეთში ომის გამო პროდუქტი ძვირდება. გუშინ და გუშინწინ ბირჟებზე კიდევ იყო გაძვირება, გუშინწინ 6000 რუბლი ტონაზე და გუშინ 8000 რუბლი ტონაზე და ეს რასაკვირველია გამოიწვევს რაღაც პერიოდში აქაც პროდუქტის გაძვირებას. ახლა თუ პირობითად 1,60 -1,65-1,70 ლარის ფარგლებში ღირს ერთი ლიტრი, მოსალოდნელია, ერთორ კვირაში პროდუქტი გაძვირდეს და გახდეს 1,80 ლარის ფარგლებში“,** – განაცხადა **ნარიმან ფირცხელიანმა.**

თხევადი გაზის იმპორტიორთა და რეალიზატორთა ასოციაციის ინფორმაციით, დედაქალაქში მოქმედი 200-მდე გაზგასამართი სადგურიდან რამდენიმე ათეული საერთოდ გაჩერებულია, 100-ზე მეტი ბიზნეს-ოპერატორი კი საჯარიმო სანქციების ქვეშაა. მიზეზი თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ის დადგენილებაა, რომლის მიხედვითაც 2026 წლის პირველი იანვრიდან გარკვეულ საცხოვრებელ ზონებში ჯართის, მეორადი საბურავების, ადვილად აალებადი და ფეთქებადი მასალების განთავსება აიკრძალა.

თხევადი გაზის სექტორში აცხადებენ, რომ აღნიშნული ცვლილებები მათ არ ეხებათ და ადგილი აქვს საკრებულოს დადგენილების არასწორ ინტერპრეტაციას. თხევადი გაზის ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, გათხევადებული ნახშირწყალბადიანი გაზების სადგურების ექსპლუატაცია ჯერ კიდევ 2014 წლიდან მოქმედი დადგენილებით რეგულირდება.

მუნიციპალიტეტის მერიასთან არშემდგარი თანამშრომლობის შემდეგ ბიზნესი დაკისრებულ ჯარიმებს სასამართლოში ასაჩივრებს და ამ გზით ცდილობს დაამტკიცოს, რომ მათ მიმართ არასამართლიან მიდგომას აქვს ადგილი.

**□გავასაჩივრეთ მერიაში, მაგრამ სავარაუდოდ უარი მივიღეთ ყველა გასაჩივრებულ ობიექტზე და ყველა ჯარიმა წავიღეთ სასამართლოში. სასამართლო პროცესები ჯერ არ არის ჩანიშნული, მაგრამ გვაქვს სამართლიანი გადაწყვეტილების იმედი. ის კანონი, რომელიც 2020 წელს არის მიღებული და ამოქმედდა 2026 წლიდან, ჩვენ არ გვეხება. კანონი ეხება მეორად ავტომობილებს, მეორად საბურავებს, აალებად და ფეთქებად ნივთიერებებს – ეს არის სხვა რეგულაციისთვის მიღებული კანონი და სხვა მიზნებისთვის. ამ შემთხვევაში თხევადი გაზი საერთოდ არ არის იქ მოხსენიებული. თითქმის ყველა ობიექტი დაჯარიმებულია, რომელიც არ არის დაკეტილი, მუშაობს სანქციის ქვეშ□** – განუცხადა □ბიზნეს მედიას□**ნიკა ხოფერიამ.**

დაჯარიმებულთა სიაში არიან მათ შორის მსხვილი ნავთობკომპანიებიც, რომლებიც თხევადი გაზის რეალიზაციასაც ახორციელებენ. □სენტა პეტროლიუმის□გენერალური დირექტორი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უწყებების მხრიდან დაწესებული რეგულაციები არსებულ რეალობასთან შეუსაბამოა, ხოლო დაჯარიმების პროცესი ხშირად შერჩევითი ხასიათისაა.

**□ძალიან რთული საკითხია და საკმაოდ არასასიამოვნო. დაიწყო მასობრივი დაჯარიმებები და ძალიან ბევრი კომპანია იძულებული გახდა, რომ შეეჩერებინა მუშაობა იმის შიშით, რომ ამას მოჰყვებოდა დაჯარიმება. ჩემი აზრით, ეს რეგულაციები ძალიან არაადეკვატურია და ამძაფრებს საწვავის პრობლემას. მეც მომიწია სადგურის დახურვა. არ არის გარკვეული, რის გამო ხდება დაჯარიმება, რატომ ხდება, რომ ერთი და იგივე მსგავს სიტუაციაში არსებული კომპანიების ზოგი ჯარიმდება, ზოგი არ ჯარიმდება. ამას ძალიან ცუდი სუნი უდის, პირდაპირ რომ ვთქვათ, რადგან ის, რაც ამ რეგულაციებში წერია, პრაქტიკულად, მისი დაკმაყოფილება შეუძლებელია, მაგრამ არის კომპანიები, რომლებიც ამას წარმატებით წყვეტენ. რა გზით, რა საშუალებით მე არ ვიცი, მაგრამ მუშაობენ.**

**საკმაოდ გაიზარდა ქვეყანაში თხევად გაზზე მომუშავე ტრანსპორტი. ეს უკვე არის არა მხოლოდ კერძო მანქანები, არამედ დისტრიბუციის მანქანებიც, რომლებიც აქტიურად მოიხმარენ. შესაბამისად, ეს საერთოდ ბევრი რამის გაძვირების საწინდარი გახდება, თუ კი შეიზღუდება მიწოდება□** – განუცხადა □ბიემს□**ზაალ იაკობიძემ.**

**ბექა დანელია**




# ყველა დროის 10 ყველაზე მაღალანაზღაურებადი საგამომცემლო შეთანხმება

**წიგნების წერა შესაძლოა სიმდიდრის დაგროვების კარგი საშუალება იყოს – თუმცა არა ყველასთვის. საგამომცემლო კომპანიები, როგორც წესი, რეანიშნა ჰონორარებს ანონიმური, დამწყები მწერლებისთვის არ გასცემენ. ასეთი ავტორისთვის წერა იშვიათად ხდება განსაკუთრებული სიმდიდრისკენ მიმავალი გზა.**

**თუმცა გლობალური აღიარების უმაღლეს დონეზე, საგამომცემლო ბიზნესი შეიძლება ძალიან მომგებიანი იყოს. თუ ავტორი ყოფილი პრეზიდენტი, სამეფო ოჯახის წევრი, პოპ-ვარსკვლავი, ლეგენდარული კომიკოსი ან ბესტსელერების ავტორია, რომელსაც უკვე ჰყავს ერთგული აუდიტორია, გამომცემლები ხშირად მზად არიან კოლოსალური თანხები გადაიხადონ ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე წიგნის თუნდაც ერთი ეგზემპლარი მოხვდება თაროებზე.**

**წინასწარი ავანსი არსებითად საზოგადოების ყურადღებაზე დადებული ფსონია. გამომცემელი ავტორს წინასწარ უხდის თანხას, რომელსაც შემდგომში წიგნის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლით ანაზღაურებს. თუ წიგნი საკმარისი რაოდენობით გაიყიდება ავტორი დამატებითი ჰონორარის მიღებასაც იწყებს. თუ არა – გამომცემელი, როგორც წესი, თავად ფარავს ზარალს.**

**ცნობილი ადამიანების მემუარები ან დიდი მოლოდინის მქონე პოლიტიკური ნაშრომი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ წიგნი – ეს არის მასშტაბური მედიამოვლენა, რომელიც მიზნად ახალი ამბების, თოქ-შოუებისა და სოციალური ქსელების ყურადღების ცენტრში მოქცევას ისახავს.**

## რომის პაპი იოანე პავლე II – 8,500,000 დოლარი

### წიგნი: „იმედის ზღურბლის გადალახვა“

**1994 წელს ალფრედ კნოფმა 8.5 მილიონი დოლარის ავანსი გადაიხადა რომის პაპ იოანე პავლე II-ის მიერ დაწერილ წიგნში: „იმედის ზღურბლის გადალახვა“.**

პროექტი იტალიელ ჟურნალისტ ვიტორიო მესორისთან დაგეგმილი სატელევიზიო ინტერვიუს საფუძველზე მომზადდა, რომელიც არ შედგა. ნაცვლად ამისა, პაპმა მესორის შეკითხვებს წერილობით უპასუხა. ეს გამოცემა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან მოქმედმა პაპმა პირველად მიმართა მსოფლიო საზოგადოებას უშუალოდ წიგნის ფორმატში. როგორც რელიგიურ ლიდერს, პაპს მიღებული შემოსავალი თავისთვის არ დაუტოვებია. ავანსისა და შემდგომი ჰონორარების უდიდესი ნაწილი სხვადასხვა გლობალურ კათოლიკურ საქველმოქმედო ფონდსა და აღდგენით სამუშაოებს მოხმარდა. წიგნი მყისიერად იქცა საერთაშორისო ბესტსელერად და ათეულობით ენაზე ითარგმნა.

## ემი შუმერი – 9,000,000 დოლარი

### წიგნი: „გოგონა წელზე ტატუთი“

**პოპულარობის პიკზე მყოფმა კომიკოსმა და მსახიობმა ემი შუმერმა გამომცემლობა „Gallery Books“-ისგან 9 მილიონი დოლარის ოდენობის ავანსი მიიღო ესეების კრებულისთვის: „გოგონა წელზე ტატუთი“.**

ეს გარიგება ასახავდა 2010-იანი წლების შუა პერიოდში ბაზარზე არსებულ დიდ მოთხოვნას ცნობილი კომიკოსების იუმორისტულ და პირად ესეებზე.

## ჯო ბაიდენი – 10,000,000 დოლარი

### პროექტი: სავიცეპრეზიდენტო წიგნის შეთანხმება

**ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადის დასრულების შემდეგ, ჯო და ჯილ ბაიდენებმა ხელი მრავალწიგნიან შეთანხმებას მოაწერეს, რომელიც 10 მილიონ დოლარად შეფასდა.**

ამ შეთანხმების ფარგლებში გამოიცა „დამპირდი, მამა“ – მემუარები, რომლებიც ფოკუსირებულია მისი ვაჟის, ბო ბაიდენის დაკარგვაზე, ასევე გამოიცა ჯილ ბაიდენის მემუარები: „სადაც სინათლე აღწევს“.

## ბრიუს სპრინგსტინი – 10,000,000 დოლარი

### წიგნი: Born To Run

**როკის ლეგენდა ბრიუს სპრინგსტინმა თავისი ავტობიოგრაფიის, „Born to run“-ის, წერაში შვიდი წელი გაატარა, რისთვისაც გამომცემლობა „Simon & Schuster“-ისგან 10 მილიონი დოლარის ოდენობის ავანსი მიიღო.**

წიგნმა მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ლიტერატურული ხარისხის, ისე როკვარსკვლავის ცხოვრების, კარიერისა და დეპრესიასთან ბრძოლის გულწრფელი ასახვისთვის და კომერციულ წარმატებად იქცა.

## ტომ კლენსი – 14,000,000 დოლარი

### წიგნი: „სინანულის გარეშე“

**მიუხედავად იმისა, რომ მემუარები ხშირად ყველაზე მაღალი ავანსების კატეგორიაში დომინირებენ, ბესტსელერი მხატვრული ლიტერატურის ავტორებიც ზოგჯერ ანალოგიურ თანხებს იღებენ.**

1990-იანი წლების დასაწყისში ტექნო-თრილერების ლეგენდარულმა ავტორმა ტომ კლენსიმ 14 მილიონი დოლარის ავანსი მიიღო თავისი რომანისთვის „სინანულის გარეშე“, რაც მისი ჯეკ რაიანის სამყაროს უზარმაზარ კომერციულ ძალას ასახავს.

## ჰილარი კლინტონი – 14,000,000 დოლარი

### წიგნი: „რთული არჩევანი“

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე მუშაობის შემდეგ, ჰილარი კლინტონმა გამომცემლობა „Simon & Schuster“-ისგან 14 მილიონ დოლარამდე ავანსი მიიღო წიგნისთვის: „რთული არჩევანი“.**

ამას წინ უძღოდა მისი წინა წარმატებული მემუარები „ცოცხალი ისტორია“ (2003), რისთვისაც მან ასევე მიიღო 8 მილიონი დოლარის ავანსი, რითაც პოლიტიკურ საგამომცემლო სექტორში საკუთარი სტატუსი განამტკიცა.

## ბრიტნი სპირსი – 15,000,000 დოლარი

### წიგნი: „ქალი ჩემში“

**პოპვარსკვლავმა ბრიტნი სპირსმა „Gallery Books“-თან (Simon & Schuster-ის იმპრინტი) ხელი მოაწერა 15 მილიონი დოლარის ღირებულების კონტრაქტს თავისი 2023 წლის მემუარებისთვის: „ქალი ჩემში“.**

მისი 13-წლიანი მეურვეობის ხმაურიანი დასრულების შემდეგ, მემუარებში დეტალურად იყო აღწერილი მისი გზა დიდებისკენ, პირადი სირთულეები და ბრძოლა ავტონომიისთვის, რამაც ფართო კრიტიკული აღიარება და მაღალი გაყიდვები მოიპოვა.

## ბილ კლინტონი – 15,000,000 დოლარი

### წიგნი: „ჩემი ცხოვრება“

**აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ბილ კლინტონის საპრეზიდენტო მემუარებმა: „ჩემი ცხოვრება“ – გამომცემლობა „Knopf“-ისგან 15 მილიონი დოლარის ოდენობის ავანსი მოიპოვა.**

2004 წელს წიგნის გამოცემის მომენტში ამ გარიგებამ რეკორდი დაამყარა პოლიტიკური მემუარების სფეროში. წიგნი მილიონობით ეგზემპლარად გაიყიდა დაპოსტ-საპრეზიდენტო საგამომცემლო გარიგებებისთვის თანამედროვე ეტალონად იქცა.

## პრინცი ჰარი – 20,000,000 დოლარი

### წიგნი: „სათადარიგო“

**პრინცმა ჰარიმ 20 მილიონი დოლარის ოდენობის ავანსი მიიღო თავისი გულახდილი მემუარებისთვის: „სათადარიგო“.**

გამომცემლობა „Penguin Random House“-ის მიერ გამოცემულმა წიგნმა მკითხველს ბრიტანეთის სამეფო ოჯახის უპრეცედენტო შიდა სამზარეულო გააცნო. მედიის დიდი ინტერესისა და გლობალური გამოხმაურების ფონზე, მემუარებმა დაამყარა რეკორდები, როგორც საგამომცემლო ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე სწრაფად გაყიდვადმა დოკუმენტურმა წიგნმა.

## ბარაკ და მიშელ ობამები – 60,000,000 დოლარი

### წიგნები: „აღთქმული მიწა“ და „როგორ გავხდი ის, ვინც ვარ“

**2017 წელს გამომცემლობა „Penguin Random House“-მა აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ბარაკ ობამასა და ყოფილი პირველი ლედის მიშელ ობამას მემუარების გამოცემის ერთობლივი უფლება შეიძინა ისტორიული შეთანხმებით, რომელიც 60 მილიონ დოლარად შეფასდა.**

ამ ხელშეკრულებამ საფუძველი ჩაუყარა მიშელ ობამას წიგნს „როგორ გავხდი ის, ვინც ვარ“ – რომელიც მსოფლიოში 15 მილიონზე მეტ ეგზემპლარად გაიყიდა – და ბარაკ ობამას საპრეზიდენტო მემუარებს –„აღთქმული მიწა“. ორივე წიგნის კომერციულმა წარმატებამ სრულად გაამართლა გამომცემლობის მიერ ჩადებული უპრეცედენტო წინასწარი ინვესტიცია.

**– ასეთი სათაური აქვს ბრიტანულ ყოველკვირეულ ჟურნალის „ეკონომისტის“ (The Economist)** 11-17 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ მოწინავე სტატიას, რომელშიც რუსეთისათვის უკრაინის ომის ნეგატიური შედეგებია განხილული, დღევანდელი მმართველობის პირობებში.

**„რა მოხდება რუსეთში? და საერთოდ, როგორი უნდა იყოს რუსეთი?“ – ამ კითხვებზე ცდილობს პასუხის გაცემას რუსი ბიზნესმენი.**

**გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:**




**როცა რუსების საკმარისი ნაწილი იგრძნობს, რომ უკრაინის წინააღმდეგ მიმდინარე უსასრულო საომარი მოქმედებები, რომლისთვისაც ისინი სისხლიან ფასს იხდიან, უკვე უსარგებლოა, პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი იძულებული იქნება რაღაც შთამბეჭდავი ნაბიჯი გადადგას შექმნილი ჩიხიდან გამოსასვლელად. ამიტომაც არის აუცილებელი რუსეთის მიმართ მუდმივად თვალის დევნება, რომ საზოგადოების დაღლილობა ან უკმაყოფილება დროულად შევამჩნიოთ.**

# კაცი, რომელიც რუსეთს შეცვლის

## წამყვანი რუსი ოლიგარქი ანდრეი მელნიჩენკო ქვეყანას მოსალოდნელ კატასტროფაზე აფრთხილებს!

**ჩვენი ჟურნალის ყდაზე დაბეჭდილია იმ ადამიანის პორტრეტი, რომელიც დღეისათვის ყველაზე მნიშვნელოვან გამაფრთხილებელ განცხადებას აკეთებს. მისი ავტორია ანდრეი მელნიჩენკო, სასოფლო-სამეურნეო სასუქების წარმოების მსოფლიო ლიდერი და უმსხვილესი რუსი მრეწველი. მასზე ვერავინ იტყვის, რომ იგი ანტიპუტინური ოპოზიციის წარმომადგენელია. იგი არამარტო არ აკრიტიკებს უკრაინაში რუსეთის არმიის შეჭრას, არამედ ინსაიდერად ითვლება, რომლის ქარხნები რუსეთის სამხედრო ეკონომიკისთვისაც მუშაობენ და ბიუჯეტში დიდი ფული შეაქვთ. ანდრეი მელნიჩენკოს ვერც კეთილშობილ მეცენატად და ქველმოქმედად ვერ ჩავთვლით – იგი თავის ქარხნებს ჯერ საზღვარგარეთიდან მართავდა, ხოლო 2023 წელს, როცა გლობალური ბიზნესის მასშტაბები შემცირდა და ბევრი რუსი ბიზნესმენი სანქცირებული იქნა, იგი რუსეთში დაბრუნდა და ცხოვრობდა ვლადიმერ პუტინის მიერ დადგენილი წესებით – „იდი, ფული დააგროვე, გამდიდრდი, მაგრამ პოლიტიკაში ცხვირს ნუ ჩაჰყოფ“.**

ანდრეი მელნიჩენკო დღეს იმიტომ ალაპარაკდა, რომ მას და მის კოლეგა-მაგნატებს აღარ შეუძლიათ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების იგნორირება, მათ აღარ შეუძლიათ იმის მოთმენა და ატანა, თუ როგორ დალპა ქვეყანა და როგორ გაბატონდა ტირანია.

ანდრეი მელნიჩენკომ თავისი გაფრთხილება ჟურნალ „ეკონომისტისთვის“ მიცემულ მრავალსაათიან ვრცელ ინტერვიუში გამოხატა, რომელსაც „ონლაინ-რეჟიმითაც“ ვაქვეყნებთ. პირველად მოხდა, რომ რუსმა ოლიგარქმა ესოდენ ფართოდ და ვრცლად გამოთქვა თავისი აზრი. ჩვენ მას თავისუფალი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა მივეცით არა იმიტომ, რომ ვეთანხმებით მის პოზიციას და არც იმიტომ, რომ იგი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მომხრეა. პირიქით, იგი პრაგმატიკოსია და სურს, რომ მისი კომპანია აყვავდეს და განვითარდეს. სწორედ ამიტომაა შესაძლებელი, რომ მის მოწოდებას გამოძახილი მოჰყვება ქვეყანაში, სადაც წარუმატებელი ომები ისტორიულად (ვთქვათ, 1905 წელს იაპონიასთან ომში მარცხი) იწვევენ მრეწველთა ჩაბმას კამპანიაში პოლიტიკური ცვლილებების მოთხოვნით.

ანდრეი მელნიჩენკოს ნათქვამი ომის ჩარჩოებს სცდება და ეხება როგორც რუსეთის, ისე მისი უშუალო მეზობლების – რბილად რომ ვთქვათ – არცთუ სასიამოვნო პერსპექტივას: იგი აფრთხილებს დასავლეთსაც, რომ ბრიუსელს, ლონდონს და ვაშინგტონს არ უნდა სურდეთ რუსეთის ჩაძირვა ქაოსში, რომ რუსეთში მკაცრი ავთარქია (თვითკმარობა, იზოლირებულობა) გამეფდეს ან რუსეთი მათზე დამოკიდებული გახდეს. მართალია, იგი არ ამბობს იმას, რომ ვლადიმერ პუტინი ხელისუფლებიდან უნდა წავიდეს, მაგრამ ცვლილებები, რომლებიც მას სურს, იმას ნიშნავს, რომ რუსეთში ერთპიროვნულ მმართველობას ბოლო უნდა მოეღოს.

**რაც ანდრეი მელნიჩენკოს ნათქვამს მნიშვნელოვანს ხდის, არის ის, რომ დასტურდება: ომი რუსეთში უკვე მკვეთრ უკმაყოფილებას იწვევს თვით ოლიგარქებშიც კი. უკრაინული დრონების შეტევა ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე და ნავთობტერმინალებზე საწვავის დეფიციტს იწვევს, ბენზინგასამართ სადგურებთან ადამიანთა უზარმაზარი რიგებია, საზოგადოებაში ნეგატიური მუხტი ღვივდება. 2014 წელს ყირიმის ანექსიის შედეგად ვლადიმერ პუტინის პოპულარობა გაიზარდა, მაგრამ დღეს ნახევარკუნძული იზოლირებულია. მატულობს ცნობილ ადამიანთა ისეთი განცხადებები სოციალურ ქსელებში, რომლებიც ხელისუფლებისათვის არასასიამოვნოა.**

ეს რეალობა ეწინააღმდეგება ვლადიმერ პუტინის არაერთგზის დაპირებებს, რომ „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ სრული სვლით ხორციელდება და რომ საბოლოო გარღვევა ახლოვდება. მართალია, რუსეთის ეკონომიკა ჯერჯერობით მდგრადობას ინარჩუნებს და ჩამოშლას არ აპირებს, მოსახლეობაც მასობრივი ბუნტისთვის მზად არ არის, მაგრამ ადამიანები უკვე გრძნობენ, რომ ქვეყანა ჩიხში შევიდა.

**ვლადიმერ პუტინს შეუძლია თავისი ხელისუფლება ომის ესკალაციითა და უკმაყოფილო ადამიანების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიებით განამტკიცოს. ამასწინათ ზოგიერთმა დასავლურმა სადაზვერვო სამსახურმა გაავრცელა ცნობა, რომ რუსეთი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან კონფრონტაციას გეგმავს. ანდრეი მელნიჩენკო შიშობს, რომ ყველაზე გადამწყვეტ მომენტში კრემლმა, უკრაინის ევროპელი მოკავშირეების დასაშინებლად, შეიძლება ტაქტიკური (ადგილობრივი მნიშვნელობის, შედარებით მცირე ძალის) ბირთვული იარაღი გამოიყენოს, თუმცა დასავლელი ანალიტიკოსები ამ გარემოებას მხედველობაში არ იღებენ და იმედოვნებენ, რომ კრემლი ამ ნაბიჯს ვერ (არ) გადადგამს.**

ანდრეი მელნიჩენკოს მტკიცებით, ომის ესკალაცია რუსეთს, უკრაინას და ევროპას მტკიცე მშვიდობას ვერ მოუტანს. ამასთან, იგი არაფერს არ ამბობს იმაზე, თუ როგორ არიან რიგითი რუსები ომით შეშფოთებულები და შეიძლება კიდევ უფრო მეტად გამოხატონ ნეგატიური დამოკიდებულება ფართო მობილიზაციისა და პოლიტიკური რეპრესიების მიმართ, რაც, ბუნებრივია, ვლადიმერ პუტინს პრობლემებს შეუქმნის და, თავის მხრივ, რეპრესიებს კიდევ უფრო გააღრმავებს.

ანდრეი მელნიჩენკოს ინტერვიუში ბევრი არგუმენტია მოცემული. იგი თავის თეზისებს რუსეთისათვის გრძელვადიანი სცენარების სახით გადმოსცემს, რომელთან თითოეული, მისი თქმით, სახიფათოა როგორც რუსეთისათვის, ასევე მთელი მსოფლიოსატვის.

**ყველაზე მეტად საგანგაშოა ის, რომ რუსეთი შეიძლება ანარქიის მორევში აღმოჩნდეს – იმდენად, რამდენადაც ფრონტელ გენერლებს ერთმანეთთან ფარული დაპირისპირება აქვთ იარაღის რესურსების მოსაპოვებლად და ეს შეიძლება ბირთვულ იარაღზეც გავრცელდეს. ეს შიში საკმაოდ რეალურია, რის გამოც თავის დროზე (აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი) ჯო ბაიდენი ცდილობდა უკრაინისთვის არ მიეცა მეტი შემტევი იარაღი – რუსეთის დამამცირებელი მარცხის თავიდან ასაცილებლად.**

**ან შესაძლოა რუსეთი უცხო სახელმწიფოს გავლენის ქვეშ აღმოჩნდეს. ასეთი უცხო სახელმწიფო შეიძლება ჩინეთი იყოს, რომელსაც შეუძლია თავისი ჩრდილოელი მეზობელი სანედლეულო ბაზად და აშშ-სთან ბრძოლაში ბუფერად გამოიყენოს... ან შეიძლება რუსეთი ომის შედეგად ისე დასუსტდეს და გამოიფიტოს, რომ ევროპის პერიფერიაში გაღატაკებულ-დაბეჩავებული და სხვაზე დამოკიდებული ქვეყნის სახით იარსებოს. რუსი ოლიგარქის პროგნოზით ორივე სავარაუდო ფინალი წარმოქმნის მძაფრ ნაციონალისტურ განწყობას, რომელმაც შეიძლება შიდა კონფლიქტში გადაიზარდოს.**

და თუ მართლაც რუსეთში სამოქალაქო ომი დაიწყება, ქვეყანა ჩაიკეტება, ჩრდილოეთ კორეის მსგავსად, და გადაიქცევა დახურულ ციხე-სიმაგრედ, ალყაშემორტყმულად, ეკონომიკური და ფინანსური სტაგნაციის პირობებში, ვინ გაიგებს, რა მოხდება ასეთ ქვეყანაში? ისევე როგორც ჩრდილოეთი კორეა, რუსეთიც შეიძლება მთელ მსოფლიოსთან პერმანენტული ომის მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ანდრეი მელნიჩენკო არ განმარტავს, თუ როგორ უნდა იქნას აცილებული თავიდან რუსეთის ასეთი მდგომარეობა. იგი, საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს და მოუწოდებს დასავლეთს ცდუნებას არ აჰყვეს და ომი კრიტიკულ წერტილამდე არ მიიყვანოს. **„დასავლეთმა უნდა შეძლოს და ისე იმოქმედოს, რომ რუსეთთან თანაარსებობით იცხოვროს“**, – ამბობს იგი და ამ მიზნით დასავლეთს მიმართავს, რომ რუსეთის „სუვერენიტეტი“ უზრუნველყოფილი იყოს, ანუ ქვეყანას იმუნიტეტის ისეთი მდგომარეობა ჰქონდეს, როგორიც ჩინეთს აქვს – **„არავინ არ უნდა ჩაერიოს რუსეთის საშინაო საქმეებში“**. რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკურ რეფორმებს, ანდრეი მელნიჩენკო ძუნწად ლაპარაკობს და კონკრეტიკას თავს არიდებს: მთავარია, რომ ქვეყანა საზღვარგარეთისთვის პროგნოზირებადი იყოს, მთავრობას საკუთარი ხალხის ნდობა ჰქონდეს ისე, რომ იძულების ზომები არ იქნას გამოყენებული.

თუმცა ამ შემთხვევაშიც რუსეთში შეიძლება ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელთა ურთიერთდაპირისპირება მოხდეს. თავის დროზე ვლადიმერ პუტინმა პოლიტიკიდან გააძევა პოსტსაბჭოთა ოლიგარქები, მაგრამ ახლა შეიძლება მათი ადგილი ძალოვნებმა დაიკავონ. თუ რუსეთი ნორმალური და დემოკრატიული ქვეყანა გახდება, ისინი წაგებულნი აღმოჩნდებიან. ალბათ, ამიტომ [თუ რუსეთში არასტაბილურობის ნიშნები გაჩნდება], ტექნოკრატები და მაგნატები ანდრეი მელნიჩენკოს მხარეს დადგებიან.

ვლადიმერ პუტინმა შეიძლება დათმობაზე უარი განაცხადოს, მაგრამ იგი გამოუვალ მდგომარეობაშია. მას შეიძლება ესკალაციის გაგრძელება სურდეს, მაგრამ ის ძვირად დაუჯდება: ყველაფერს, მათ შორის ესკალაციასაც და რეფორმებს, თავისი ფასი აქვს.

**რუსული პოსტკონფლიქტური რეფორმების პრეცედენტი უკვე არსებობს: 1905 წელს რუსეთის იმპერიამ იაპონიის იმპერიასთან 19-თვიანი ომი წააგო, რაშიც მრეწველებმა და ტექნოკრატებმა ნიკოლოზ II დაადანაშაულეს. მათი თქმით, ომმა აჩვენა, რომ ერთპიროვნული მმართველობის გამო რუსეთი ევროპას განვითარებაში ჩამორჩა. იმავე წელს მომხდარი ფართო ანტისამთავრობო გამოსვლების შედეგად ნიკოლოზ მეორე იძულებული გახდა გამოექვეყნებინა მანიფესტი, რომლითაც სამოქალაქო, თავისუფლებები გამოცხადდა, შეიქმნა საკანონმდებლო ორგანო – რუსეთის სახელმწიფო სათათბირო.**

**მართალია, მეფე-იმპერატორმა მისთვის არასასურველი რეფორმები 1907 წელს შეაჩერა და შემდეგ საერთოდ გააუქმა, მაგრამ ამის შედეგად, 9 წლის შემდეგ, 1917 წელს რომანოვების დინასტია იმავე მოთხოვნებით საერთოდ დაემხო და იმპერატორი რევოლუციურ ტრაგიკულ მოვლენებს შეეწირა. რჩება იმედი, რომ რუსეთი თავის ისტორიულ გაკვეთილებს კარგად ისწავლის და გააცნობიერებს: მას გრძელვადიანი რეფორმები სასიცოცხლოდ სჭირდება.**



მოამზადა

**სიმონ კილაძემ**



# საქართველოს უკეთ შესაცნობად

**გასულ შაბათს თბილისი კიდევ ერთხელ მოექცა სპორტული მსოფლიოს ყურადღების ცენტრში – რაფ ჯორჯიას ჭიდაობის პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი პირველად გასცდა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრებს და ფილადელფიის ნაცვლად საქართველოს დედაქალაქში გაიმართა, რომელმაც კონკურენცია ომში ჩართულ ახლო აღმოსავლეთს მოუგო.**

ლეგენდების ფესტივალიო, სწორედ აღნიშნულ ღონისძიებაზე ითქმის, რადგან სარბიელზე ვიხილეთ 8 ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონები, მართლაც რომ ღირსეულთა შორის ყველაზე ღირსეული სტუმარ-მასპინძლები: კაილ სნაიდერი, კაილ დაიკი, აბდულრაშიდ სადულაევი, არმან ცარუკიანი, გენო პეტრიაშვილი, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, გივი მაჭარაშვილი, ვლადიმერ გამყრელიძე, ისტორიული საღამოს მთავარი მოვლენა კი მერაბ დვალიშვილისა და ჰენრი სეხუდოს პრინციპული შეხვედრა გახლდათ. სხვათა შორის, ისინი ბრძოლის წინა დღეს ერთმანეთის წინაშე „ფეის – ოფზე" ზაზა ფაჩულიას თანდასწრებით წარდგნენ.

საგულისხმოა, რომ სამშობლოში მნიშვნელოვანი გამოცდის ჩაბარებამდე „ქართველმა მანქანამ"„ვორლდ ემემეი ევორდსის" დაჯილდოების ცერემონიაზე სეზონის საუკეთესო მებრძოლის ტიტული მოიპოვა. გამოკითხვაში, რომელიც 2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს მოიცავდა, მან ილია თოფურიას, ალექსანდრ პანტოჟას (ბრაზილია), მაგომედ ანკალაევსა და გაჯი რაბადანოვს (ორივე – რუსეთი) აჯობა.

იუეფსი 317 ტურნირზე გამართული საპრეტენდენტო ბრძოლისთვის ნომინაციაში „წლის ბრძოლა" ჯილდო ჯოშუა ვანმა (მიანმა) და ბრენდონ როივალმა (აშშ) დაიმსახურეს, წლის რეფერიდ მარკ გოდარდი დასახელდა, წლის ჟურნალისტის წოდებას არიელ ჰელვინი დაეუფლა, წლის პერსონად ნინა დრამა ცნეს, წლის ორგანიზაციის სტატუსი იუეფსიმ მოიპოვა, ხოლო მისმა ხელმძღვანელმა დანა უაითმა წლის მენეჯერის პრიზი მიიღო.

რაც შეეხება რაფ-ის (რეალ ამერიკან ფრისტაილ) მე-11 ივენთს, 12 ბრძოლის თითოეულმა გამარჯვებულმა 200 ათასი, ხოლო დამარცხებულმა 100 ათასი დოლარი გამოიმუშავა, რომლებმაც ჩვეულებრივი თავისუფალი ჭიდაობის ტურნირისგან განსხვავებით, ამჯერად უძლიერესი 3 ორწუთიან პერიოდში გამოავლინეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: რაფ-ის დირექტორმა ჩაკ ბრონშტეინმა დააკმაყოფილა ტელეიმედის პროტესტი, რადგან რეპორტაჟის დროს საქართველოს რუკა ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე იყო წარმოდგენილი, შედეგად კი ჭეშმარიტებამ იზეიმა!

და ბოლოს – მასპინძელთა შთამბეჭდავი მონაგარი: გენო პეტრიაშვილსა და ვლადიმერ ხინჩეგაშვილს საერთოდ არ ეტყობოდათ ხალიჩასთან ხანგრძლივი განშორება და სუფთა გამარჯვებები მოიპოვეს, გივი მაჭარაშვილმა 7:3 იკმარა, ყოფილმა ძიუდოისტმა და სამბისტმა მერაბ დვალიშვილმა კი 0:8-ის შემდეგ ძლევაი საკვირველით გაგვახარა თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიურ ჩემპიონ ჰენრი სეხუდოსთან – 11:8.

მართალია, ერთადერთი მარცხი ქამრისთვის ბრძოლაში ვლადიმერ გამყრელიძემ განიცადა ერთ დროს უძლეველ კაილ დაიკთან – 0:2, მაგრამ ღირსეულად გამოიყურებოდა და მასზე სასაყვედურო ბევრი არაფერი გვაქვს.

მოკლედ, ისტორია რაფ-შიც დავწერეთ!

**არანაკლებ საგულისხმო ინფორმაციაც, რომელიც ადასტურებს, რომ მომავალი ჩვენია – 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი ზედიზედ მეორედ მოიგო კონსტანტინე პეტრიაშვილმა!**

# ფრიადოსანი კვადრატში

**სტუდენტობისას საყვარელ ლექტორს უნივერსიტეტის გაზეთში 55 წლის იუბილე ძვირფასი დეკანის, ბატონ დავით გამეზარდაშვილის ჩამოწოდებული სათაურით მივულოცეთ. და აი, დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ თავს უფლებას ვაძლევთ მოგონებათა სკივრი გავხსნათ და მეგობარ კოლეგას – მიხეილ აბაიშვილს აღნიშნული წყვილციფრა თარიღისადმი მიძღვნილი წერილი სასიდაქულო მეცნიერის ნააზრევით „მოვუნათლოთ" – გამეორება ხომ ცოდნის დედაა.**



ჩვენ იმ სუსხიანი, მაგრამ მაინც ალალი ურთიერთობებით გამთბარი და დაუვიწყარი 90-იანი წლებიდან მოვდივართ ერთად, როცა მართლაც მშობლიური კერიის სადარი გამომცემლობა „სამშობლოს" მე-4 სართულზე გაზეთების – „საქართველოს რესპუბლიკის", „ახალგაზრდა კომუნისტისა" და „დრონის" რედაქციებში ძველი გვარდიის ღირსეული წარმომადგენლები როგორც ცხოვრებისეულ, ისე პროფესიულ გაკვეთილებს გვიტარებდნენ და თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საკუთარ ოჯახში.

თითქოს სიმბოლურიცაა, ობიექტურობითა და პრინციპულობით გამორჩეულმა კალმოსანმა თაობათა სამჭედლო „ლელოში" მოთელვისა და საბრძოლო ნათლობის შემდეგ სისხლსავსე მოღვაწეობა პოპულარული გამოცემის ფურცლებზე რომ დაიწყო, რამეთუ კარიერის განმავლობაში არაერთხელ დარწმუნდა, რომ „დრონი მეფობენ და არა მეფენი". არანაკლებ ლოგიკურად გამოიყურება სრულყოფისაკენ გადადგმული შემდეგი ნაბიჯიც – მართალია, ყოველკვირეულმა „კაპიტალმა" მალევე შეწყვიტა არსებობა, მაგრამ მისი კოლორიტული ახალგაზრდა თანამშრომლის პერსონა კიდევ უფრო გამდიდრდა იმ შეუფასებელი კაპიტალით, ბევრისათვის საოცნებო თვისებათა ერთობლიობა რომ წარმოადგენს. აღარაფერს ვამბობთ დომინოსა და ჯოკრის აზარტული დიდოსტატის აკადემიაზე.

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა – ორი ვადით არჩეული სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის რეფორმატორი თავკაცი და შემოქმედებითი მივლინებების მოტრფიალე, უპირველესად ქართული და, ასევე – ფრანგული ფეხბურთის ერთგულ ქომაგად რჩება და ზურგს როგორც ათწლეულების წინათ ჟურნალისტთა გუნდ „ჩემპიონში" ისე ჩვენს დღეებში – მედიატურნირებში პრაქტიკული თამაშის გამოცდილება უმაგრებს.

**გაიხარე მონაგარში!**

**გივი ტუხაშვილი,**
**გია პლატონიშვილი**

# სამოასთან – ჩილეში

**მონტევიდეოში ურუგვაისთან 41:34 გამარჯვების შემდეგ ბორჯღალოსნები ჩილეში, სამოასთან მსოფლიო რაგბის ერთა თასის მეორე ტურის შეხვედრის გასამართავად ჩავიდნენ. მატჩი ვინია დელ მარიში მოუწყო.**

სახელმწიფოს სიდიდით მეოთხე და ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ეს ქალაქი ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე მდებარეობს და მისი მოსახლეობა 335 ათასია. თითქმის საუკუნის თანატოლი უკვე გადატანილი ბრძოლის ველი-საუსალიტო სთედიუმი 1929 წელს აშენდა და 2015 წელს სრული რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. მრავალფუნქციური სტადიონი 22 ათასამდე მაყურებელს იტევს და იგი ადგილობრივი საფეხბურთო კლუბის – ევერტონის საშინაო არენაა. აღსანიშნავია, რომ ამ სარბიელზე 1962 წლის მუნდიალის 8 თამაში მოეწყო, ხოლო 1991 და 2015 წლებში კოპა ამერიკის მატჩებს უმასპინძლა.

რაც შეეხება მეტოქეს, იგი სამხრეთ ამერიკაში კვირაზე მეტია იმყოფება და ახალი ტურნირის სტარტზე სანტიაგოში ჰონკონგი 66:19 დაჯაბნა. კუნძულელებმა აზიელებს 10 ლელო გაუტანეს 8 გარდასახვით, თვითონ კი 3 ლელო გაუშვეს.

**საქართველო – სამოა 33:12**

ეს გახლდათ ისტორიაში ბორჯღალოსანთა მიერ ყველაზე დიდი სხვაობით მოპოვებული გამარჯვება კუნძულელებთან, მაგრამ აღნიშნული წარმატება ჰაერიდან არ მოსულა.

დიახ,ახალმა თავკაცმა პიერ-ანრი ბრონკანმა უკვე დაატყო თავისი ხელი ჩვენ გუნდს, რაც, მაგალითად, შერკინების შთამბეჭდავ თამაშში და საჯარიმოების ხშირად დარტყმაში გამოიხატა, რამაც სარისკო სალელოვე იერიშების ნაცვლად სასიკეთო ასახვა ქულების მარაგის შევსებაში ჰპოვა, თუმცა კვლავ გამოწვევად რჩება ბურთის აუტიდან თამაშში ზუსტად შემოტანა და დისციპლინა.

# ნაადრევი ფინალები – ომი გრძელდება

**როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკული მუნდიალის პირველ ნახევარფინალში 14 ივლისს დალასში თბილისის დროით 23 საათზე საფრანგეთი და ესპანეთი შეხვდებიან ერთმანეთს. ეს იქნება პლანეტის 23-ე საფეხბურთო ფორუმის რიგით 101-ე მატჩი, ანუ ბევრის აზრით ნაადრევი ფინალი.**

**საფრანგეთი – მაროკო 2:0**

ეს გახლავთ წინა ტურნირის ამავე ეტაპის ბრძოლისა და მისი შედეგის გამეორება, თანაც იმავე მეტოქეთა მონაწილეობით.

რატომღაც საფიქრებელი იყო, რომ ტრავმირებული საიბარის არყოფნის მიუხედავად, აფრიკელებს სარევანში ამბიცია საფუძვლიანად ექნებოდათ განმტკიცებული, მაგრამ შევცდით – ძალამ აღმართი ამჯერადაც საკმაოდ იოლად მოხნა. მეტიც – რომ არა მეკარე ბონო, რომელმაც მბაპეს დარტყმული პენალტი მოიგერია და კიდევ რამდენჯერმე იხსნა პარტნიორები, ანგარიში უფრო სავალალო იქნებოდა.

რაც შეეხება გოლებს, მბაპემ თამაშიდან მე-8 ბურთი მაინც გაიტანა და მესის დაეწია, ოქროს ბურთის მფლობელმა დემბელემ კი პირადი მონაგარი 5-მდე გაზარდა და სამფეროვანთა გამარჯვებას წერტილი დაუსვა.

რადგან პარი სენ-ჟერმენის ვარსკვლავები ვახსენეთ, მის ლიდერს ხვიჩა კვარაცხელიასაც დავუთმოთ ყურადღება შვებულების მიუხედავად: ინტერნეტ-პორტალმა გოლმა ოქროს ბურთის მოპოვების 20 მთავარი პრეტენდენტის განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც კვარა მე-8 პოზიციაზეა: კეინი, ოლისე, მბაპე, დემბელე, მესი, ჰოლანდი, იამალი, კვარაცხელია, რაისი, დიასი, ჰაკიმი, ვიტინია, ვინისიუსი, ოიარსაბალი, მაგალიაეში, ლაუტარო, ბრუნო, საკა, ბელინგემი, საიბარი.



**ესპანეთი – ბელგია 2:1**

ფავორიტმა ოკეანის გაღმა პირველი ბურთი გაუშვა და კაცმა არ იცის, როგორ დაასრულებდა ერთფეროვან შეტევებს, რომ არა კურტუას ტრავმა, რადგან მისმა შემცვლელმა ლამენსმა ბოლო წუთზე საბედისწერო შეცდომა დაუშვა და დუბლიორმა მერინომ ზედიზედ მეორედ აზეიმა პირენეელები.

ასე რომ, ღიად რჩებოდა საკითხი – მივიღებდით თუ არა მეორე ნაადრევი ფინალის ტოლფას წყვილს: ინგლისი – არგენტინა, რომელიც 1982 წლიდან მოყოლებული, გასცდა საფეხბურთო შეხვედრების ფარგლებს და ისტორიულ-პოლიტიკურ ხასიათს ატარებს. შეგახსენებთ, რომ მაშინ ამ ქვეყნებს შორის არსებული სადავო ტერიტორიის – ფოლკლენდის კუნძულების გამო განხორციელებულ 2-თვიან საომარ მოქმედებებს ორივე მხრიდან დაახლოებით 900-მდე სამხედრო მოსამსახურე შეეწირა...

**ინგლისი – ნორვეგია 2:1**
**(დამატებით დროში)**

ერთადერთი ტრიუმფის 60 წლისთავზე ფეხბურთის სამშობლოს სულ უფრო უჭირს მიზნით მიღწევა, მაგრამ ამჯერად კეინის სნაიპერული როლი ზედიზედ მე-2 დუბლით ბელინგემმა შეასრულა, რომელსაც ვიკინგების მეკარემ ნილანდმა გაუწია დახმარება ისევე, როგორც 1:0-ზე სორლოტმა, რომელმაც საგოლე პოზიციაში მყოფი ჰოლანდი არ შეიმჩნია.

**არგენტინა – შვეიცარია 3:1**
**(დამატებით დროში)**

მოქმედ ჩემპიონთა მარათონი გრძელდება და მართალია მესიმ პირველი უგოლო მატჩი იკადრა და მხოლოდ ასისტს დასჯერდა, მაგრამ სამაგიეროდ კერკეტი შვეიცარიული კაკალი სხვებმა გატეხეს.



# ლამაზად შვილების გამზრდელი დედა მარიკა ჩივიაშვილი

სოფლის დასაწყისში ამოვლისას არაშენდა ეწერა, ჩავლისას „არ" მოეშალათ და აშენდამ გამოგვაცილა.

დიახ, არაშენდა ჩივიაშვილებმა, გილიგაშვილებმა, მედულაშვილებმა, მოსულიშვილებმა, არსენიშვილებმა, ბაწელაშვილებმა, სხვებმა და სხვებმა ააშენეს... და დაამშვენეს!

მარიკა მასწავლებელმა მრავალი თაობა აღზარდა ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელი და თავისი ორი შვილით საამაყო ოჯახთა რიცხვს შეუერთდა.

რეზო და ინგა თბილისში ცხოვრობენ. მარიკას კი სოფელი არ მიუტოვებია. იგი უსულო ქონების მონად არ იქცა, სიკეთესა და მოწყალებას გასცემდა.

მეუღლისა და ძმის გარდაცვალების შემდეგ კი ობოლი ძმისშვილიც თავისთან მოიყვანა და უპატრონა. აი, სწორედ მისი სიკვდილის შემდეგ გულმა უღალატა და... ეს კეთილშობილი, ღვთისნიერი, ლამაზად შვილების გამზრდელი დედა მარიკა არა მარტო სოფლისა და დედაქალაქის, არამედ ქართული მიწის ბინადარი გახდა.

ლამაზად შვილის გამზრდელი დედები არა კვდებიან!

ისინი მარადიულ სასუფეველში მკვიდრდებიან!

ჩივიაშვილების სანაქებო რძალი გახლდათ მარიკა. ფიზიკურად და სულიერად ძლიერი, გრემელი ქალიშვილი ძალიან მხიარული, შრომისმოყვარე, ოჯახის ბურჯი და არაშენდის ამშენებელი და დამამშვენებელი გახდა.

მეუღლის □გივი ჩივიაშვილის სკოლის დირექტორად მუშაობის პერიოდში, შინმოუსვლელთა ობელისკთან, დიდი საცხრამაისო ზეიმი გაიმართა, სადაც სტუმრად მოვიწვიეთ მწერალი ვლადიმერ ალფენიძე. მან ვენაში, ბეთჰოვენისა და მოცარტის საფლავების გვერდით აღმოაჩინა ვლადიმერ გილიგაშვილის საფლავი.

პირველი სატელევიზიო გადაცემა არაშენდას მივუძღვენ, ჩემი რეჟისორი მსახიობი გურამ ლორთქიფანიძე გახლდათ.

**მედეა მოსულიშვილი**

## სულთათანა

სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი□მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მონომშენის□დირექტორის მოადგილე, კარგი მოქალაქე და კეთილშობილი პიროვნება

**კახა გოგუაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და „მონომშენის□პერსონალს.

# კრება დიდებულთა და ყოვლადქებულთა

**13 ივლისს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს 12 მოციქულს: პეტრეს, ანდრიას, იაკობს, იოანეს, ფილიპეს, ბართლომეს, თომას, მათეს, იაკობს (ალფესს), იაკობ იუდას (თადეოზს), სიმონ მოშურნეს (კანანელი) და მატათას.**





ტროპარი: მოციქულთა თავნო და ყოველთა სოფლისა მოძღვარნო, მაცხოვარსა ყოველთასა ევედრენით, რათა მოსცეს სოფელსა მშვიდობაი და სულთა ჩვენთა დიდი წყალობაი.

კონდაკი: შენ სარწმუნოებისა კლდესა, გადიდებს ქრისტე ბრწყვინვალედ, ყოვლადპატიოსანსა მოწაფეთასა და პავლეს თანა ყოველთასა ათორმეტ რიცხვსა კრებულსა, რომელთა ხსენებისა აღმსრულებელნი სარწმუნოებით მადიდებელსა მათსა ვადიდებთ.

**გიული ლიპარტია**

# საფრანგეთში ექსტრემალური სიცხეები გრძელდება!



**სიცხის გამო საგანგებო გეგმა ამოქმედდება ქვეყნის იმ დეპარტამენტებში, სადაც □წითელი□მეტეოროლოგიური განგაშია გამოცხადებული. ამ დროისათვის საფრანგეთის მასშტაბით 24 დეპარტამენტში განგაშის □წითელი□ დონეა გამოცხადებული, 59 დეპარტამენტში კი □ნარინჯისფერი□**

ამასთან, საფრანგეთში ექსტრემალური სიცხის შედეგად გამოწვეულ ტყის ხანძრებსაც ებრძვიან. ხანძრის რამდენიმე კერის ლიკვიდაცია ქვეყნის სამხრეთ ნაწილში ამ დრომდე ვერ ხერხდება. მედიის ცნობით, დაკავებულია ორი ადამიანი, რომლებიც ეჭვმიტანილები არიან ხანძრის განზრახ გაჩენაში.

**ოფიციალური მონაცემებით, ივნისში ძლიერ სიცხეს საფრანგეთში 2 000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.**

# პენტაგონმა უცხოპლანეტელების შესახებ ახალი ინფორმაციები გაასაჯაროვა!

**აშშ-ის თავდაცვის სამინისტრომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტების შესახებ ახალი მონაცემები გამოაქვეყნა,** – ამის შესახებ CBS News იტყობინება.

**უწყებამ გაასაჯაროვა 40 საიდუმლო ფაილი, რომლებიც მოიცავს 14 დოკუმენტს, 19 ვიდეორგოლს, 4 აუდიოფაილსა და 3 გამოსახულებას. ისინი პენტაგონმა, აშშ-ის ენერგეტიკის სამინისტრომ, ნასამ (NASA), ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (CIA), ასევე გამოძიების ფედერალურმა ბიურომ (FBI) მოამზადეს.**



ერთ-ერთ დოკუმენტში გახსნილია 2015 წლის სექტემბერში მომხდარი ინციდენტის დეტალები. მასში გამოქვეყნებულია ორი ოფიცრის ჩვენება, რომლებიც შეესწრნენ ამოუცნობ ობიექტს, რომელიც ტეხასში, □Pantex□-ის საწარმოს საჰაერო სივრცეში შეიჭრა.

ამავდროულად, სხვა დოკუმენტში გასაიდუმლოებულია ატლანტის ოკეანის, წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილისა და ახლო აღმოსავლეთის თავზე ობიექტებზე დაკვირვების მონაცემები. **კერძოდ, მასში ნახსენებია 2020 წელს ატლანტის ოკეანის თავზე მომხდარი ინციდენტი. სამხედრო-საზღვაო ძალების ეკიპაჟის წევრის ანგარიშის თანახმად, ამოუცნობი ობიექტი □ყო უფრო მუქი, შინდისფერი, დაახლოებით 12-15 ფუტის სიმაღლის. ის დიდ, ოდნავ დეფორმირებულ საჰაერო ბურთს ჰგავდა□**

# 2050 წლისთვის ყოველწლიურად გამოვლენილი კიბოს შემთხვევების რაოდენობა მკვეთრად გაიზრდება!

**მსოფლიოში ყოველწლიურად გამოვლენილი კიბოს შემთხვევების რაოდენობამ 2050 წლისთვის შესაძლოა 35 მილიონს მიაღწიოს,** – ინფორმაციას ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია თავის გლობალურ ანგარიშში ავრცელებს.

**ამჟამად მსოფლიოში ყოველწლიურად ონკოლოგიური დაავადებების 20,6 მილიონ ახალ შემთხვევას აფიქსირებენ, თითქმის 10 მილიონი ადამიანი კი კვდება. ონკოლოგია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების შემდეგ სიკვდილიანობის მეორე მიზეზად ითვლება**

ჯანმოში აღნიშნეს, რომ ონკოლოგიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სფეროში არსებულმა სამეცნიერო მიღწევებმა ყველა ქვეყანაში თანაბარი გაუმჯობესება არ გამოიწვია. მაღალი შემოსავლის მქონე სახელმწიფოებში სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატების ხელმისაწვდომობა და პაციენტების გადარჩენის მაჩვენებელი გაცილებით მაღალია.

**2024 წელს კიბოთი გამოწვეული გარდაცვალებების ნახევარზე მეტი (56,5%) აზიაზე მოდიოდა. ამავე რეგიონში გამოვლინდა ახალი შემთხვევის 50,7%. ევროპაზე კი, შესაბამისად, სიკვდილიანობის 20% და ახალი შემთხვევების 21% მოდის.**

**ონკოლოგიის ყოველი 10 შემთხვევიდან თითქმის ოთხი პრევენცირებად რისკ-ფაქტორებს უკავშირდება, რომლებსაც მიეკუთვნება მოწევა, ალკოჰოლის მოხმარება, ჭარბი წონა, ფიზიკური აქტივობის ნაკლებობა და სხვა. თებერვალში ჯანმომ ამ ფაქტორებთან დაკავშირებული კიბოს შემთხვევების რაოდენობა 2022 წლისთვის დაახლოებით 7,1 მილიონად შეაფასა.**



# მოჰამედ ბაღერ ღალიბაფი: ცალმხრივი გარიგებების ეპოქა დასრულდა, ჩვენ გითხარით, შეასრულეთ თქვენი სიტყვა ან გადაიხადეთ ფასი!



ირანის პარლამენტის სპიკერი მოჰამედ ბაღერ ღალიბაფი შეერთებული შტატების მიერ გასულ ღამეს ირანზე განხორციელებულ თავდასხმას ეხმაურება.

**□ცალმხრივი გარიგებების ეპოქა დასრულდა. ჩვენ გითხარით, შეასრულეთ თქვენი სიტყვა ან გადაიხადეთ ფასი. რეალობა კარზე აკაკუნებს□,** □დაწერა ღალიბაფმა . პოსტთან ერთად, **ღალიბაფმა გააზიარა აშშ-ირანის ურთიერთგაგების მემორანდუმის მონაკვეთი, სადაც საუბარია, რომ ირანი შეთანხმების პირობებს დაიცავს იმ შემთხვევაში, თუ აშშ-იც აიღებს ვალდებულებებს. ცნობისთვის, გასულ ღამეს აშშ-მა ირანზე დარტყმების ახალი ტალღა განახორციელა.**



# „ლიანა ასათიანი 100“

**ეროვნულ სასახლეში საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოცემული საიუბილეო ალბომის „ლიანა ასათიანი 100“ წარდგენა გაიმართა,** – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, მოწვეულ სტუმრებს ალბომი **ნინო თორაძემ, შორენა შავერდაშვილმა** და **ნიკოლოზ წულუკიძემ წარუდგინეს.**

ღონისძიებას საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე** პირველ მოადგილესთან **მაკა გურგენიძესთან** ერთად დაესწრო.

**„სასიხარულოა, რომ ლიანა ასათიანის შესახებ საიუბილეო ალბომი გამოიცა. მოგეხსენებათ, ლიანა ასათიანი და თორაძეების ოჯახი ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია; შესაბამისად, ეს წიგნი მხოლოდ ერთი ხელოვანის ბიოგრაფია კი არა, მთელი ეპოქისა და იმ ადამიანების ისტორიაა, რომლებმაც ქართული კინოსა და მუსიკის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს“,** განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

საიუბილეო ალბომი ლიანა ასათიანის პირად ჩანაწერებს, თორაძეების ოჯახურ არქივს და საქართველოს ხელოვნების სასახლის კოლექციაში დაცულ ფოტომასალას, ასევე, მსახიობის წერილების, ჩანაწერებისა და ინტერვიუების ფრაგმენტებს მოიცავს.

ლიანა ასათიანის შემოქმედებითი ბიოგრაფია ქართული კინემატოგრაფის ოქროს ხანას და მარჯანიშვილის თეატრის სცენას უკავშირდება. ალბომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მსახიობის შვილს, პიანისტ ლექსო თორაძეს.

**საიუბილეო ალბომის გამომცემელია შორენა შავერდაშვილი, შემდგენელი – ნიკოლოზ წულუკიძე, ხოლო ტექსტუალურ მასალაზე თეატრმცოდნე ლელა არაბიძემ იმუშავა.**



# ჭადრების პარკში ანზორ გვარამაძის ვარსკვლავი გაიხსნა

**ქალაქ ოზურგეთში, ჭადრების პარკში, ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობის აღსანიშნავად, გავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „მთიების“ დამაარსებლის ანზორ გვარამაძის ვარსკვლავი საზეიმოდ გაიხსნა.**

ანზორ გვარამაძე ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების გამორჩეული წარმომადგენელია. მისი მოღვაწეობა ოზურგეთიდან დაიწყო და თბილისში, მის მიერვე დაარსებულ ანსამბლ „მთიებში“ გაგრძელდა.

**დამსახურებული ქორეოგრაფ-პედაგოგი დაჯილდოებულია ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენებით, მინიჭებული აქვს საპატიო წოდება „ქორეოგრაფიის რაინდი“, არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სახელობის პრემიის ლაურეატი და „ხელოვნების ქურუმის“ წოდების მფლობელი.**

ვარსკვლავის გახსნამდე, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ანზორ გვარამაძის შესახებ ვიდეოჩვენება და ანსამბლ „მთიების“ 25 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები: „მთიები“, „ზენაარი“, „წართები“, „ფესვები“, „ფარცას“ ძველი თაობის მოცეკვავეები, „შვიდკაცა“ და „ვახტანგური“.

საზეიმო კონცერტს და ანზორ გვარამაძის ვარსკვლავის გახსნას მოწვეულ სტუმრებთან ერთად ესწრებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **პაატა კუნჭულია,** გურიის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ღურჯუმელიძე,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია,** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

**ოზურგეთის მერმა პაატა კუნჭულიამ ანზორ გვარამაძეს ქართულ ქორეოგრაფიაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის საპატიო სიგელი და ფულადი ჯილდო 1000 ლარი გადასცა. ღონისძიებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და კულტურისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.**

# ქართული კინოსადმი მიძღვნილი სერიის ახალი წიგნები

**ეროვნულ სასახლეში, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ ქართული კინოსადმი მიძღვნილი სერიის ახალი წიგნების – „ქართული კინო 1940-1960“ და „ქართული კინო 1960-1970“ წარდგენა გაიმართა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ღონისძიებას საქართველოს კულტურის მინისტრი **თინათინ რუხაძე** პირველ მოადგილესთან **მაკა გურგენიძესთან** ერთად დაესწრო.

**„დღეს ქართული კინოს შესახებ გამოცემული მეოთხე წიგნის წარდგენას ვესწრებით. ვულოცავ ამ მნიშვნელოვან მოვლენას ყველას, ვინც ამ პროექტზე მუშაობდა. ეს გამოცემები ერთ სივრცეში აერთიანებს ქართული კინოს ისტორიას, საარქივო მასალებსა და კინომცოდნეთა კვლევებს. ფაქტობრივად, ეს არის უნიკალური ნაშრომი, რომელიც მომავალ თაობებს ქართული კინოს შესახებ მრავალმხრივ და სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის. სასიხარულოა ისიც, რომ ამ სერიის მეხუთე წიგნზე უკვე მიმდინარეობს მუშაობა. კიდევ ერთხელ დიდ მადლობას გადავუხდი ავტორებს და პროექტში ჩართულ თითოეულ ადამიანს“,** განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

პრეზენტაციაზე სარედაქციო ჯგუფის წევრებმა გამოცემების კონცეფციასა და სამომავლო გეგმებზეც ისაუბრეს.

**„ქართული კინო 1940-1960“ და „ქართული კინო 1960-1970“ ათწლეულების მიხედვით შექმნილი იმ სერიის ნაწილია, რომელიც 2020 წლიდან გამოიცემა. წიგნები დაინტერესებული მკითხველისთვის მნიშვნელოვან დოკუმენტურ წყაროს წარმოადგენს, რადგან მათში ქართული კინოს განვითარების სხვადასხვა ეტაპი, ჟანრული მრავალფეროვნება, ფილმების შექმნის ისტორია და კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი საქმიანობაა აღწერილი. გამოცემების მთავარი რედაქტორები მანანა ლეკბორაშვილი და ქეთევან ტრაპაიძე არიან.**




# „საააკაძეობა“ გიორგის სოფელ ნოსტეში

**კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოსტეში გამოჩენილი მხედართმთავრისა და ქართლის დიდი მოურავის გიორგი სააკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული – „სააკაძეობა“ გაიმართა.**

„სააკაძეობა“ წლების განმავლობაში არ ჩატარებულა და მერიის ორგანიზებით გასულ წელს აღდგა.

გიორგი სააკაძის კოშკის მიმდებარედ მოეწყო ადგილობრივ მეწარმეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, კულტურული და სპორტული ღონისძიებები.



# „ომის გზაგამოვლილი ქალები“

**ქალაქ ვოლენდამში ნათია ახვლედიანის ფილმის „ომის გზაგამოვლილი ქალების“ პრემიერა გაიმართა.**

ქართველმა კინორეჟისორმა სადებიუტო ფილმი აფხაზეთს მიუძღვნა. სცენარისთვის გიორგი კეკელიძის წიგნის „დედა და ილია“ ჭუბერის ეპიზოდები გამოიყენა.

ფილმში ნიდერლანდების სამეფოში მოქმედი ქართული სამოყვარულო თეატრ „თინათინის“ მსახიობები და აფხაზეთიდან დევნილი ქალები მონაწილეობდნენ.

რეჟისორმა აფხაზეთის ომის და ჭუბერის უღელტეხილის სცენები ორიგინალური ხერხით, ანიმაციის საშუალებით გააცოცხლა ეკრანზე. თავად ამბებს კი ომგამოვლილი ქალები და მსახიობები ჰყვებიან.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოღებულ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 16 ივლისს**